



ევროკომისია

ევროკავშირის საგარეო საქმეთა და  
უსაფრთხოების პოლიტიკის  
უმაღლესი წარმომადგენელი

ბრიუსელი, 31 იანვარი 2019

**ევროკომისიის აპარატის სამუშაო დოკუმენტი**  
**ანგარიში საქართველოს მიერ ასოცირების პროცესის განხორციელების შესახებ**

## ანგარიში საქართველოს მიერ ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების შესახებ

### 1. წინასიტყვაობა

განახლებული „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის“ შესაბამისად, წინამდებარე ანგარიშში განხილულია საქართველოს მიერ ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. ანგარიში ასახავს პერიოდს ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების საბჭოს 2018 წლის 5 თებერვლის სხდომიდან საბჭოს მორიგ სხდომამდე, რომელიც 2019 წლის 5 მარტს გაიმართება.

ევროკავშირმა და საქართველომ კიდევ უფრო გაააქტიურეს ურთიერთობები. რეფორმების განხორციელების გზით და ევროკავშირთან ურთიერთობის შემდგომი განვითარების მტკიცე სურვილის საფუძველზე, რაც ხაზგასმულია საქართველოს რეფორმების ხუთპუნქტიან გეგმაში, საქართველო აგრძელებს თავისი პოზიციის განამტკიცებას როგორც ევროკავშირის ერთ-ერთი მთავარი პარტნიორი რეგიონში.

საქართველოს საზოგადოება კვლავაც განაგრძობს ასოცირების შესახებ შეთანხმებაში ჩამოყალიბებული ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციისკენ საქართველოს მისწრაფების მხარდაჭერას.

მთლიანობაში, ასოცირების შესახებ შეთანხმებაში, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ჩათვლით, განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება გრძელდებოდა შეთანხმებული ვადების დაცვით. ასოცირების განახლებული დღის წესრიგი (2017-2020) ასოცირების შესახებ შეთანხმების შემდგომი განხორციელებისთვის ერთობლივად შეთანხმებულ პრიორიტეტებს აყალიბებს.

ცალკეული ქვეყნისთვის დახმარების ჩარჩო-პროგრამას (Single Support Framework) 2017-2020<sup>1</sup>, რომელშიც ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერის პრიორიტეტები მითითებული, წვლილი შეაქვს ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელებისა და ძირითადი სტრუქტურული და ინსტიტუციური რეფორმების მხარდაჭერაში, კერძოდ, განათლების, ეკონომიკისა და ბიზნესის გარემოს სფეროში. საქართველოში მოქმედ საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან საერთო ამოცანებთან დაკავშირებით დამყარებული მჭიდრო თანამშრომლობაც საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული რეფორმების ხელშეწყობის გაუმჯობესების შესაძლებლობას იძლევა.

<sup>1</sup> [https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/georgia\\_2017-2020\\_ssf\\_final.pdf](https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/georgia_2017-2020_ssf_final.pdf)

ევროკავშირის დახმარების ახალი პროგრამები (134 მილიონი ევროს ოდენობის გრანტების მოცულობით) მიმართული იქნება საჯარო ფინანსების მართვაზე, უსაფრთხოებასა და კანონის უზენაესობაზე და ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების შემდგომ მხარდაჭერას უზრუნველყოფს. შერეული ოპერაციები ხელს შეუწყობს ადგილობრივ ვალუტაში დაკრედიტებას, ასევე ენერგოეფექტურობას, მყარი ნარჩენების მართვას, წყალმომარაგებასა და სანიტაციას.

ახალი მაკროფინანსური დახმარების პროგრამის ფარგლებში, ევროკავშირმა საქართველოსთვის ახალი, 45 მილიონ ევრომდე ოდენობის თანხმა გამოყო (10 მლნ ევრომდე გრანტების და 35 მლნ ევრომდე სესხების სახით). მაკროფინანსური დახმარების ახალი პროგრამა დაეხმარება საქართველოს მომავალ წლებში გარე ფინანსურ საჭიროებათა ნაწილის დაფინანსებაში.

ტექნიკური რეგულაციებისა და სტანდარტების ევროკავშირის რეგულაციებსა და სტანდარტებთან თანდათანობით დაახლოებით საქართველო აგრძელებს გლობალურ ღირებულებრივ ჯაჭვებში მონაწილეობის განმტკიცებას. 2017 წელს ევროკავშირი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორი იყო: მისი წილი მთლიან ვაჭრობაში 27%-ს უდრიდა. ევროკავშირის როგორც საქართველოს სავაჭრო პარტნიორის მნიშვნელობას 2018 წლის წინასწარი მონაცემებიც ადასტურებს. ამ კონტექსტში, ცხოველური წარმოშობის ახალი პროდუქტებისთვის ევროკავშირის ბაზრის გახსნა საქართველოსთვის მნიშვნელოვანი საეტაპო მიღწევა იყო.

საქართველომ უმნიშვნელო წინსვლა განახორციელა მართლმსაჯულების სექტორის რეფორმირებაში; მნიშვნელოვანი გამოწვევები კვლავ რჩება მიღწეული წინსვლის განმტკიცებისა და კანონის უზენაესობის დაცვის მიმართულებით. სამოქალაქო საზოგადოებამ შეშფოთება გამოხატა სასამართლო სისტემასა და მედიის პლურალიზმზე პოტენციურ პოლიტიკურ ზეგავლენასთან დაკავშირებით. ადამიანის უფლებების და ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის ეფექტიანი განხორციელება კვლავ გამოწვევად რჩება.

2017 წლის მარტიდან საქართველომ მოკლევადიანი უვიზო მიმოსვლით სარგებლობა დაიწყო. 2018 წლის 28 მარტიდან 2018 წლის 1 სექტემბრამდე შენგენის ტერიტორიაზე დაახლოებით 300 000 საქართველოს მოქალაქე უვიზოდ, მოკლევადიანი ვიზიტით იმყოფებოდა. ქვეყანამ განაგრძო სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული სავიზო ნიშნულების განხორციელება და ღონისძიებების გატარება, კერძოდ, საქართველოს მოქალაქეების არალეგალური მიგრაციის საკითხების მოგვარება. მიუხედავად ამისა, ევროკავშირის რიგ წევრ ქვეყნებში ჯერ კიდევ არის თავმესაფრის მოთხოვნასთან დაკავშირებული დაუსაბუთებელი განაცხადებების რიცხვის ზრდის შემთხვევები.

უსაფრთხოების, ტერორიზმთან და საერთაშორისო ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის საქმეში საქართველო ევროკავშირის მნიშვნელოვანი პარტნიორია, რაც ასევე ხაზგასმით აღინიშნა 2018 წლის 23 ოქტომბერს გამართულ ევროკავშირ-საქართველოს უსაფრთხოების საკითხებზე სტრატეგიული დიალოგის მაღალი დონის მეორე შეხვედრაზე. გაგრძელდა ოპერატიულ მონაცემებზე და ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის და დანაშაულის ანალიზის ერთიანი სისტემის შექმნასთან დაკავშირებული რეფორმები.

საქართველო კვლავ აქტიურ როლს თამაშობს ევროპის განახლებული სამეზობლო პოლიტიკის და მისი რეგიონალური განზომილების – აღმოსავლეთ პარტნიორობის – განხორციელებაში, მათ შორის 2017 წლის 24 ნოემბერს გამართული აღმოსავლეთ პარტნიორობის მეხუთე სამიტის შედეგებზე დამუშავებული შემდგომი საქმიანობის, ევროკომისიის აპარატის სამუშაო დოკუმენტით "20 შედეგი 2020 წლისთვის<sup>2</sup>" გათვალისწინებული მიზნების მიღწევის და აღმოსავლეთ პარტნიორობის პლატფორმებისა და კომისიების მუშაობაში მისი აქტიური მონაწილეობის ფარგლებში.

მაღალი დონის შეხვედრა ევროკომისიისა და საქართველოს მთავრობის წევრებს შორის 2018 წლის 21 ნოემბერს შედგა. შეთანხმებული იყო სამომავლო თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებები - ასოცირების დღის წესრიგის<sup>3</sup> პრიორიტეტებისა და 2020 წლისთვის 20 შედეგის შესაბამისად.

## **2. პოლიტიკური დიალოგი, კარგი მმართველობა და ინსტიტუტების გაძლიერება**

### **2.1. დემოკრატია, ადამიანის უფლებები და კარგი მმართველობა**

2018 წლის განმავლობაში საქართველოში პოლიტიკური გარემო განვითარდა.

2018 წლის 23 მარტს საქართველოს პარლამენტმა დარჩენილი საკონსტიტუციო ცვლილებები დაამტკიცა, რითაც კონსტიტუციური რეფორმის პროცესი დასრულდა. განახლებულ კონსტიტუციაში შედის ახალი დებულებები გენდერულ თანასწორობასთან, დისკრიმინაციასთან და ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებით. განახლებული კონსტიტუციის მიხედვით დამტკიცდა სრულად პროპორციული საარჩევნო სისტემა 2024 წლიდან და პირდაპირი საპრეზიდენტო არჩევნები გაუქმდა.

<sup>2</sup> აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტის ერთობლივი დეკლარაციის დანართი (ბრიუსელი, 2017 წლის 24 ნოემბერი): [https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/20\\_deliverables\\_for\\_2020.pdf](https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/20_deliverables_for_2020.pdf)

<sup>3</sup> <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A22017D2445>

2018 წლის მაისში ყოფილი პრემიერი და ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი "ქართული ოცნების" თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს. პრემიერ მინისტრმა კვირიკაშვილმა 2018 წლის 13 ივნისს თანამდებობა დატოვა. ის შეცვალა ფინანსთა ყოფილმა მინისტრმა, მამუკა ბახტაძემ, რომელმაც მთავრობის ოპტიმიზაციის შედეგად კაბინეტი 11 მინისტრამდე შეამცირა.

ოქტომბერსა და ნოემბერში საქართველოში ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები, რომლის დროსაც ამომრჩეველმა ბოლოჯერ აირჩია პრეზიდენტი პირდაპირი წესით. დამოუკიდებელი კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი, რომელსაც მხარს მმართველი უმრავლესობა უჭერდა, მეორე ტურში აირჩიეს. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის<sup>4</sup> წინასწარი ანგარიშის თანახმად, არჩევნები საერთო კონკურენტულ გარემოში ჩატარდა და პროფესიონალურად იყო ადმინისტრირებული. ამავდროულად ანგარიში ხაზგასმით აღინიშნავს, რომ პროცესს ზიანი მიაყენა ერთი მხარის გაუმართლებელმა უპირატესობამ და ორივე მხარის ნეგატიურმა კამპანიამ. შეინიშნებოდა ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების შემთხვევები.

2018 წლის მაის-ივნისში საქართველომ მასობრივი პროტესტის ორი ტალღა განიცადა. პირველი თბილისის ღამის კლუბებში ნარკოტიკების წინააღმდეგ ჩატარებულ ოპერაციას მოყვა, როდესაც ათასობით ადამიანმა 2018 წლის მაისში ძალის გადამეტება გააპროტესტა. დემონსტრაციებისა და საპროტესტო აქციების მეორე ტალღის მიზეზი იუსტიციის სისტემის (პროკურატურისა და სასამართლოების) სავარაუდო ხარვეზები იყო. საპროტესტო გამოსვლები დაიწყო 2017 წლის დეკემბერში ორი სკოლის მოსწავლის მკვლელობასთან დაკავშირებით სასამართლოს ბუნდოვანი გადაწყვეტილების შემდეგ; რამაც აიძულა მთავარი პროკურორი 2018 წლის 31 მაისს თანამდებობიდან გადამდგარიყო.

რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის სარჩელის შემდეგ, 2018 წლის ივლისში საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად გამოაცხადა საგადასახადო კოდექსის და "სახელმწიფო ქონების შესახებ" კანონის ის დებულებები, რომელიც საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას პრივილეგიებს ანიჭებდა, მათ შორის დამატებითი ღირებულების გადასახადისგან გათავისუფლებას და სახელმწიფო საკუთრების უფასოდ მიღებას.

მედიაგარემო დინამიური და პლურალისტურია და ასევე პოლარიზებული. სამართლებრივი ბრძოლები სატელევიზიო არხების საკუთრებასთან დაკავშირებით კვლავ საფუძვლად უდევს პოლიტიკურ დავას მედიის პლურალიზმსა და სასამართლო სისტემაზე პოტენციური პოლიტიკური ზეწოლის

<sup>4</sup> <https://www.osce.org/odihr/elections/georgia/399611?download=true>

შესახებ. სატელევიზიო არხი „რუსთავი-2“-ის საქმეს<sup>5</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კვლავ განიხილავს. 2018 წელს საქართველომ გააუმჯობესა მსოფლიოს *პრესის თავისუფლების* ინდექსის<sup>6</sup> მაჩვენებელი, სამი პოზიციით აიწია და 180 ქვეყნიდან 61-ე ადგილზეა (2017 წელს 64 ადგილთან შედარებით). თავისუფლების სახლის (Freedom House) რეიტინგი სტაბილური<sup>7</sup> დარჩა.

ბერტელსმანის ფონდის (BTI) ტრანსფორმაციის ინდექსის 2018 წლის საქართველოსთან დაკავშირებული ანგარიში<sup>8</sup> ამბობს, რომ ზოგადად *სამოქალაქო საზოგადოება* კვლავ სუსტი რჩება წევრობისა და გრანტებზე დამოკიდებულების თვალსაზრისით, მაგრამ ამის მიუხედავად პოლიტიკის ფორმულირებასა და მთავრობის მეთვალყურეობის საკითხში გადამწყვეტ როლს თამაშობს.

რაც შეეხება *კორუფციის პრევენციას და მის წინააღმდეგ ბრძოლას*, საქართველო აგრძელებდა ანტიკორუფციული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის განხორციელებას ასოცირების დღის წესრიგით განსაზღვრული ვალდებულებების შესაბამისად. აღნიშნული პოლიტიკის შედეგები საერთაშორისო რეიტინგებში აისახა; თუმცა არსებობს გარკვეული შეშფოთება მაღალი დონის კორუფციასთან დაკავშირებით. 2017 წლის საერთაშორისო გამჭვირვალობის (Transparency International) კორუფციის აღქმის ინდექსის<sup>9</sup> მიხედვით, საქართველოს მაჩვენებელია 56/100 (2016 წელს - 57/100), რაც უფრო მაღალია ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ნებისმიერ სხვა ქვეყანასთან შედარებით. 2018 წლის მსოფლიო ბანკის კორუფციის კონტროლის მაჩვენებელი გაუმჯობესდა, 2017 წელს - 77/100 მიაღწია (2016 წელს 74 და 2015 წელს 75 იყო)<sup>10</sup>. საჯარო მოხელეების მიერ წარმოდგენილი ქონებრივი დეკლარაციები ეფექტურად კონტროლდება 2017 წლიდან (კანონით, მთლიანი დეკლარაციების 5% მოწმდება)<sup>11</sup>. 2017 წლიდან საჯარო სამსახურში ეთიკის კოდექსი მოქმედებს. 2018 წლის ივლისში საქართველომ აქტივების აღდგენის ეროვნულ სამსახურად მთავარი პროკურატურის ევროინტეგრაციისა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის სამმართველო შეარჩია.

2018 წლის განმავლობაში საქართველომ გააუმჯობესა შიდა კანონმდებლობა *ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის* წინააღმდეგ, რათა ის ევროპის

<sup>5</sup> "რუსთავი 2" სატელევიზიო კომპანიის აქციების მფლობელობის შესახებ დავა.  
[https://www.echr.coe.int/Documents/CLIN\\_2018\\_01\\_214\\_ENG.pdf](https://www.echr.coe.int/Documents/CLIN_2018_01_214_ENG.pdf)

<sup>6</sup> <https://rsf.org/en/ranking>

<sup>7</sup> <https://freedomhouse.org/report/freedom-world/2018/georgia>

<sup>8</sup> <https://www.bti-project.org/en/reports/country-reports/detail/itc/geo/>

<sup>9</sup> <https://www.transparency.org/country/GEO>

<sup>10</sup> World Bank Governance Indicators (WBI): <http://info.worldbank.org/governance/wgi/#reports>

<sup>11</sup> 2017 წელს გაკონტროლებული აქტივების 80% შემთხვევაში მოხდა ადმინისტრაციული დაჯარიმება (287 დეკლარაციიდან 224) ან პროკურატურის მიერ შემდგომი გამოძიება (7 დეკლარაციის შემთხვევაში).

საბჭოს სტანდარტებთან (სტამბოლის კონვენცია) დაეხლოვებინა. ინფორმაციის გავრცელების კამპანიებისა და საზოგადოების დამოკიდებულების მნიშვნელოვანი ცვლილების შედეგად, ისევე როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 2018 წლის იანვარში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის შექმნის შემდეგ გაიზარდა პოლიციისთვის ოჯახში ძალადობის შემთხვევათა შეტყობინება. დეპარტამენტი ოჯახში ძალადობისა და სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულების გამოძიების კუთხით შესაძლებლობების გაძლიერებაზე მუშაობს. კვლავ მაღალია ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევების რაოდენობა.

მიუხედავად კანონმდებლობის დახვეწის და საზოგადოებაში ცოდნის გავრცელების მცდელობებისა, კვლავ მაღალია **გენდერული უთანასწორობა**. გენდერული უთანასწორობის ინდექსში (GII) 188 ქვეყნიდან საქართველო 76-ე ადგილზეა, ხოლო ქალებისა და მამაკაცების უთანასწორობის გლობალურ ინდექსში<sup>12</sup> (GGGI) 144 ქვეყნიდან 94-ე ადგილზე. ქალები არასაკმარისად არიან წარმოდგენილები პოლიტიკაში და შრომის ბაზარზე<sup>13</sup>.

რაც შეეხება უმცირესობებს, განხორციელების პროცესშია საქართველოს თანასწორობისა და ინტეგრაციის სტრატეგია და მისი ყოველწლიური სამოქმედო გეგმები, რომელიც მიზნად ისახავს ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრირებას. სახელმწიფო ენის შესახებ კანონის (ეროვნული უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ მუნიციპალიტეტებში არასახელმწიფო ენების გამოყენების თაობაზე) აღსრულებასთან დაკავშირებით, შესაბამისი დეპარტამენტი შეიქმნა პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარების ქვეშ. ორ მუნიციპალიტეტში შეიქმნა საზოგადოებრივი საკონსულტაციო საბჭოების ახალი ორგანოები, რომელიც მიზნად ისახავდა ეროვნულ უმცირესობათა ადგილობრივ დონეზე მონაწილეობის გაზრდას.

2015 წელს **დისკრიმინაციის** ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონში სახალხო დამცველის მიერ შეთავაზებული ცვლილებების შეტანა, რომელიც მიზნად ისახავდა კანონის საფუძველზე აღსრულების მექანიზმის ეფექტიანობის გაზრდას, აქამდე დაუსრულებელია. დაფიქსირებულია ლგბტ (ლესბოსელ, ჰომოსექსუალ, ბისექსუალ, ტრანსგენდერ და ინეტერსექს) პირთა შრომის, ჯანდაცვის, სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებში დისკრიმინაციის შემთხვევები. ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ დემონსტრაციას პოლიცია ინტენსიურად იცავდა, ასევე იმავე დროს გამართული ულტრამემარჯვენე ნაციონალისტების ჯგუფის დემონსტრაციის გათვალისწინებით.

<sup>12</sup> [http://www3.weforum.org/docs/WEF\\_GGGR\\_2017.pdf](http://www3.weforum.org/docs/WEF_GGGR_2017.pdf)

<sup>13</sup> 15.33% არის ქალთა წარმომადგენლობა პარლამენტში და 13.46% ადგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოებში და მხოლოდ 1 (1.56%) 64 არჩეულ მერებს შორის. ქალთა აქტივობის მაჩვენებელი შეადგენს 50.8% -ს, მამაკაცთა 63,4% -თან შედარებით

რაც შეეხება **ბავშვთა უფლებებს**, ჩვილთა (და დედების) სიკვდილიანობის მაჩვენებლები კვლავ მაღალია ევროპულ მაჩვენებლებთან შედარებით, სხვა ფაქტორთა შორის ორსულობამდე, პერინატალური და მშობიარობის შემდეგ გაწეული დაბალი ხარისხის სერვისების გამო. ბავშვთა სიღარიბე კვლავ მაღალია. ღარიბ ოჯახებში მცხოვრები ბავშვების რაოდენობა 26.8% -დან 31.6% -მდე გაიზარდა. ყოველი მეხუთე ბავშვი ცხოვრობს ოჯახში, სადაც ძირითადი საჭიროებები არ კმაყოფილდება. დაიწყო ბავშვთა დაცვის ახალი, მოწინავე რეფერალური პროცედურებისა და სახელმწიფო საკოორდინაციო მექანიზმის განხორციელება ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირების, გადაცემისა და რეაგირების მიზნით. არ დასრულებულა ბავშვებზე ზრუნვის დენისტიტუციონალიზაცია; ჯერ კიდევ მოქმედებს ორი დიდი დაწესებულება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისათვის. ასევე სათანადო მონიტორინგის გარეშე ფუნქციონირებს რამდენიმე არარეგულირებული დაწესებულება, რომლებსაც აფინანსებენ და მართავენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტები, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია და მუსლიმთა თემები.

რაც შეეხება **არასათანადო მოპყრობას**, არსებობს წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმა (2017-2018 წლებისათვის). სასჯელაღსრულების სისტემაში არასათანადოდ მოპყრობის შემთხვევები შემცირდა, განსხვავებით პოლიციის თანამშრომლების მხრიდან არასათანადოდ მოპყრობის შემთხვევებისგან. 2018 წლის სექტემბრისთვის სახალხო დამცველის აპარატმა მიიღო 149 საჩივარი ციხის თანამშრომლების ან პოლიციის მხრიდან არასათანადოდ მოპყრობის შესახებ და საქართველოს მთავარ პროკურორს 8 საქმის გამოძიების თაობაზე მიმართა. არცერთს სისხლის სამართლებრივი დევნა არ მოჰყოლია.

კანონი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ, რომელიც **დამოუკიდებელ საგამოძიებო მექანიზმს** დაწესდა, მიღებული იყო 2018 წლის ივლისში და ძალაში 2019 წელს შევა. ახალი უწყება პერსონალურ მონაცემთა დაცვის არსებული ინსპექტორის და სამართალდამცავების მიერ ჩადენილი დანაშაულის ახალი საგამოძიებო ორგანოს ფუნქციებს მოიცავს. რამდენიმე შემთხვევა 2017 წლის იანვარში ძალაში შესულ სტამბოლის ოქმის<sup>14</sup> შესაბამისად დაფიქსირდა. თანდათანობით ხდება პოლიციის უბნებისა და დაკავების დაწესებულებების აღჭურვა სამეთვალყურეო საშუალებებით არასათანადოდ მოპყრობის პრევენციული ზომის სახით. არ დასრულებულა გამოძიება საქართველოს ტერიტორიაზე აზერბაიჯანის მოქალაქის და ადამიანის უფლებათა დამცველის

<sup>14</sup> <https://www.ohchr.org/Documents/Publications/training8Rev1en.pdf>



გატაცების და აზერბაიჯანისთვის მისი უკანონოდ გადაცემის ფართოდ გაშუქებულ საქმეზე.

საქართველო კვლავ არის **საჯარო მმართველობის სისტემის რეფორმის** მიმდევარი, ევროკავშირის საჯარო მმართველობის პრინციპების შესაბამისად. 2018 წლის მმართველობისა და მენეჯმენტის გაუმჯობესების მხარდაჭერის (SIGMA) პოლიტიკის განვითარების საბაზისო შეფასებამ აჩვენა, რომ საჭიროა პოლიტიკის დაგეგმვის, კოორდინაციის, მონიტორინგისა და ანგარიშგების შემდგომი განმტკიცება<sup>15</sup>. მთავრობა 2015-2017 წლების მისი პოლიტიკის დაგეგმვის სისტემის რეფორმის ეროვნულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას განაახლებს. 2016, 2017 და 2018 წლებში მიღებულ იქნა საჯარო სამსახურის შესახებ კანონის განხორციელებისთვის საჭირო კანონქვემდებარე აქტები. ახალი კლასიფიკაციისა და ანაზღაურების სისტემები დაინერგა ყველა საჯარო მოხელისთვის; შესრულებული სამუშაოს შეფასებაზე დაფუძნებული ახალი მიდგომა საკვანძო სამინისტროებში აპრობირდება და ყველა დაწესებულებაზე გავრცელდება.

## 2.2. საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა

2018 წელს საქართველო ევროკავშირის 58 დეკლარაციიდან და საბჭოს გადაწყვეტილებებიდან - სადაც მას შესთავაზეს მიერთებოდა - 31-ს მიუერთდა (53%) რაც ოდნავ დაბალი მონაცემია წინა წელთან შედარებით (56%). საქართველო კვლავ მონაწილეობდა სამოქალაქო და სამხედრო კრიზისების მართვის ოპერაციებში **საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის** (CSDP) ფარგლებში. იგი აგრძელებს პერსონალის გააზრდვას ევროკავშირის სამხედრო საწვრთნელ მისიაში (EUTM) ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში და კვლავ გააგზავნა ერთი ოფიცერი ევროკავშირის სამხედრო საწვრთნელ მისიაში მალიში.

რაც შეეხება **ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას**, საქართველო აგრძელებდა ისლამური სახელმწიფოს (Da'esh) წინააღმდეგ გლობალური კოალიციის მხარდაჭერას. **მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებისა და უკანონო იარაღის ექსპორტის წინააღმდეგ ბრძოლის** სფეროში საქართველომ შეიტანა ცვლილება სისხლის სამართლის კოდექსში, ქიმიური იარაღის შესახებ კონვენციასთან მისი სრული შესაბამისობისთვის. საქართველო კვლავ მასპინძლობს ევროკავშირის ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული რისკების შემცირების რვა ცენტრიდან ერთს და ევროკავშირს აძლევს შესაძლებლობას, მნიშვნელოვანი ინვესტირება განახორციელოს მის სამეზობლოში არსებულ პარტნიორ ქვეყნებში, ასევე სხვა ქვეყნებშიც ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული რისკებისადმი მზადყოფნის თვალსაზრისით.

<sup>15</sup> <http://www.sigmaweb.org/publications/Baseline-Measurement-Report-2018-Georgia.pdf>

*კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების* საკითხი - 2018 წელს რუსეთსა და საქართველოს შორის კონფლიქტის დაწყების 10 წლისთავი იყო. ევროკავშირი კვლავ სრულ მხარდაჭერას უწევს საქართველოს სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას მის საერთაშორისო მასშტაბით აღიარებულ საზღვრებში და ასევე აქტიურად უჭერს მხარს კონფლიქტების მოგვარების მცდელობებს სამხრეთი კავკასიისა და საქართველოს კრიზისის საკითხებში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის, ასევე ფინანსური მხარდაჭერის მეშვეობით. საქართველო კვლავ ჩართული იყო ქენევის საერთაშორისო დისკუსიებში.

2018 წლის ივნისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო "ტატუნაშვილი - ოთხოზორიას სია"<sup>16</sup>, რომელშიც მოცემული იყო თვითგამოცხადებულ რეგიონებში ადამიანის უფლებების დამრღვევად მიჩნეულ პირთა ჩამონათვალი. 2018 წლის ზაფხულიდან შეჩერდა შეხვედრები ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM)<sup>17</sup> ფარგლებში, რომელიც 2009 წელს დაარსდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რეგიონების თემებში არსებული რისკებისა და უსაფრთხოების საკითხების განსახილველად.

2018 წლის ივნისში პარლამენტმა მიიღო საკანონმდებლო პაკეტი "ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ", რათა ხელი შეუწყოს მშვიდობასა და შესაძლებლობებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ადამიანებისთვის. პაკეტი მათთვის ვაჭრობისა და განათლების სხვადასხვა შესაძლებლობებს ითვალისწინებს და ხელს უწყობს, რომ მათთვის უფრო ხელმისაწვდომი გახდეს ევროკავშირში ინტეგრაციის შედეგად საქართველოსთვის მიღებული სარგებელი. ევროკავშირის დახმარება აფხაზეთზეც ვრცელდება.

2018 წლის 23 ოქტომბერს, ბრიუსელში გამართულ საქართველო-ევროკავშირის უსაფრთხოების საკითხებზე სტრატეგიული დიალოგის მაღალი დონის მეორე შეხვედრაზე მხარეებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს ძლიერი ინტერესი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროებში მჭიდრო თანამშრომლობასთან დაკავშირებით, ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად.

2008 წლის 1 ივლისსა და 10 ოქტომბერს შორის პერიოდში საქართველოში, სამხრეთ ოსეთში და მის მახლობლად განლაგებული მთელი შეიარაღებული ძალების მიერ კაცობრიობის წინაშე და ომის სავარაუდოდ ჩადენილი

<sup>16</sup> ეს შავი სია არჩილ ტატუნაშვილის და გიგა ოთხოზორიას, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებულ რეგიონებში მოკლული საქართველოს ორი მოქალაქის სახელს ატარებს.

<sup>17</sup> ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრები და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ცხელი ხაზი ძალზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტებია ადგილობრივი უსაფრთხოების საკითხების მოსაგვარებლად და მხარეებს შორის ნდობის აღდგენის ხელშესაწყობად.

დანაშაულების მიმდინარე გამოძიების ფარგლებში საქართველო *სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან* თანამშრომლობს .

### 2.3 მართლმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ბოლო ანგარიშის თანახმად, საქართველოში ბიზნესების მიერ სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის აღქმული დონე საშუალოზე მაღალია, თუმცა ტენდენცია დაღმავალია.<sup>18</sup>

**საკანონმდებლო რეფორმების მე-4 ტალღა** მას შემდეგ დაიწყო, რაც შეიქმნა მართლმსაჯულების რეფორმების პლატფორმა, რომელსაც პარლამენტი ხელმძღვანელობს. შედეგად, 2018 წლის დასაწყისში მიღებულ იქნა ცვლილებები, რომელიც მცირე საკრედიტო დავებზე დავალიანების აღმოფხვრასთან დაკავშირებით სამართალწარმოების პროცედურების გამარტივებაზე იყო მიმართული. 2018 წლის ივლისში საერთო სასამართლოების შესახებ კანონით განისაზღვრა მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური პროცედურების კონკრეტული საფუძვლები; კანონპროექტი შეტანილია პარლამენტში განსახილველად. მე-4 ტალღის ფარგლებში რეფორმირდება იუსტიციის უმაღლესი სკოლა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მუშაობის წესები. საკონსტიტუციო რეფორმამ გააუქმა მოსამართლეებისთვის გამოსაცდელი ვადა 2025 წლიდან და გაზარდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ წარსადგენ კანდიდატურათა რაოდენობა.

2018 წლის ივლისში იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ წარმოადგინა **სასამართლო სისტემის** სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების პირველი ანგარიში. საბჭოს საჯარო კრიტიკა ძლიერი რჩება, კერძოდ, როდესაც საქმე კონკრეტულ მოსამართლეთა თანამდებობაზე უვადოდ დანიშნვას ეხება.

გრძელდებოდა **არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების** კოდექსის განხორციელება. განრიდებული ბავშვების რაოდენობა კვლავ მაღალია, რეციდივიზმის მაჩვენებლის დიდი ზრდის გარეშე (ბავშვების დაახლოებით 9%). განრიდების და ალტერნატიული სანქციების უფრო ფართოდ გამოყენების შედეგად კვლავაც მცირეა, როგორც წინასწარ პატიმრობაში მყოფი ბავშვების, ისე მსჯავრდებული ბავშვების რაოდენობა.

**დანაშაულის მსხვერპლთა** მხარდაჭერის სფეროში, საქართველოს მთავარ პროკურატურაში 2012 წლიდან მოქმედი მოწმეებისა და დაზარალებულთა კოორდინატორების როლი, რომელთა ამოცანას დანაშაულის მსხვერპლებისთვის სისხლის სამართლის საქმეებში პროცედურული და ფსიქოლოგიური დახმარების

<sup>18</sup> [http://reports.weforum.org/pdf/ig-2017/WEF\\_Inclusive\\_Growth\\_2017\\_Profile\\_GEO.pdf](http://reports.weforum.org/pdf/ig-2017/WEF_Inclusive_Growth_2017_Profile_GEO.pdf)

გაწევა, ოფიციალურად აღიარებულია საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში 2018 წელს შესული შესწორებებით<sup>19</sup>.

რაც შეეხება **მართლმსაჯულებაზე წვდომას, და საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას**, საქართველოს იურიდიული დახმარების სამსახურმა თბილისში შენობის რემონტი განახორციელა და ახალი ვებ-გვერდი შექმნა 30 000-ზე მეტი იურიდიული დახმარების ბენეფიციარისა და იურისტებისათვის უკეთესი მომსახურების გასაწევად, რომლებიც ყოველწლიურად სჭირდებათ ამ სამსახურის დახმარება დედაქალაქში და 19 სხვა ოფისში მთელი ქვეყნის მასშტაბით<sup>20</sup>.

მნიშვნელოვანი წინსვლაა მიღწეული სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სფეროებში კერძოდ, ჯანდაცვის ან ადამიანის უფლებების მდგომარეობასთან დაკავშირებით. 2012 წლიდან ორჯერ შემცირების მიუხედავად, **თავისუფლების აღკვეთის** მაჩვენებელი (257 პატიმარი 100 000 მოსახლეზე) ძალიან მაღალი რჩება. თითქმის ყველა დაწესებულებაში პატიმრებისთვის განათლებისა და დასაქმების შესაძლებლობები კვლავ შეზღუდულია. გამოწვევები კვლავ რჩება ზრდასრულთა შინაპატიმრობის განხორციელებასთან დაკავშირებით (2018 წლის იანვარიდან მოქმედებს). 2018 წლის აგვისტოში იუსტიციის სამინისტროს და სასჯელაღსრულების სამინისტროს გაერთიანებას ახალი რეფორმების გეგმები მოჰყვა, რესოციალიზაციის აქცენტით.

2017 წელს **პროკურატურის** სტრატეგიის მიღების შემდეგ, ეთიკის ახალი კოდექსი და პროკურორთა შეფასების სისტემა არსებობს. სამსახურში აყვანის, დაწინაურების და დისციპლინარული პროცედურები შემდგომი განვითარების სტადიაშია.

იუსტიციის სამინისტრო ასრულებს მუშაობას სპეციალიზებული **კომერციული** პალატების შექმნაზე ბიზნესის სფეროს წარმომადგენლებისგან მზარდი რაოდენობის კომერციული დავების განსახილველად. საქართველოს მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების ინდექსში ძალიან დაბალი მაჩვენებელი ჰქონდა გადახდისუნაროდ აღიარების პროცედურებთან დაკავშირებით. 2019 წლის რეიტინგი ამ მიმართულებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა<sup>21</sup>.

რაც შეეხება **სასამართლო თანამშრომლობას სისხლის სამართლის საკითხებთან** მიმართებაში, ევროკავშირის სამართლებრივი თანამშრომლობის სააგენტოსთან (Eurojust) თანამშრომლობის შეთანხმებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები დასრულებულია და მიმდინარეობს ევროკავშირის უწყებათაშორისი

<sup>19</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281?publication=12>

<sup>20</sup> <http://www.legalaid.ge>

<sup>21</sup> [http://www.worldbank.org/content/dam/doingBusiness/media/Annual-Reports/English/DB2019-report\\_web-version.pdf](http://www.worldbank.org/content/dam/doingBusiness/media/Annual-Reports/English/DB2019-report_web-version.pdf)

პროცედურები ამ შეთანხმების ხელმოსაწერად და ძალაში შესასვლელად 2019 წელს.

**მიგრაციის** სფეროში საქართველო აგრძელებდა მიგრაციის სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის განხორციელებას, ასევე მიგრაციის ერთიანი ანალიტიკური სისტემის დანერგვას და ახალი სამიგრაციო პროფილების მომზადებას.

**თავშესაფრის** სფეროში საქართველომ განაგრძო 2016 წლის საერთაშორისო დაცვის შესახებ კანონის განხორციელება. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2018 წლის იანვარი - აგვისტოს პერიოდში 35 თავშესაფრის მაძიებელმა მიიღო ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსი, ხოლო 409-ს უარი ეთქვა. განაცხადების მზარდი რაოდენობა უარყოფილია ეროვნული უსაფრთხოების მოსაზრებების საფუძველზე<sup>22</sup>. საქართველომ შეიმუშავა საკანონმდებლო ცვლილებები შენგენ+ ზონის ტერიტორიაზე საქართველოს მოქალაქეების მიერ თავშესაფრის მოთხოვნის რაოდენობათა გაზრდის საკითხის მოსაგვარებლად<sup>23</sup>.

**საზღვრების მართვა** უმჯობესდება და უსაფრთხოებისა და მეთვალყურეობის ინფრასტრუქტურა უფრო ფართოვდება. გაიხსნა რვა ახალი სასაზღვრო სექტორი; კიდევ ოთხი შენდება და 2019 წლის დასაწყისში გაიხსნება. ყველა განახლებული სასაზღვრო სექტორი აღჭურვილი იყო საზღვრის კვეთის მაკონტროლებელი თანამედროვე საშუალებებით. 2018 წელს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში ინსტიტუციური რეფორმები გატარდა<sup>24</sup>.

**ორგანიზებული დანაშაულის და სხვა უკანონო საქმიანობის წინააღმდეგ** საბრძოლველად საქართველომ 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგიის და 2017-2018 წლებისათვის მისი სამოქმედო გეგმის<sup>25</sup> განხორციელება განაგრძო.

---

<sup>22</sup> 2018 წლის აგვისტომდე საერთაშორისო დაცვასთან დაკავშირებულ 156 განაცხადს უარი ეთქვა ეროვნული უსაფრთხოების მოსაზრებების გათვალისწინებით. 2017 წლის მონაცემები ხელმისაწვდომია: <http://mra.gov.ge/res/docs/2018030216100235786.pdf>

<sup>23</sup> მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო "სამოქალაქო აქტების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანა, რომლის მიხედვითაც 2018 წლის აპრილში საქართველოს პარლამენტმა მიიღო გვარის შეცვლის შემზღვეველი პირობები. "შენგენ+ ზონა" ევროკავშირის 26 წევრ სახელმწიფოს ფარავს, რომელზეც (ევროკავშირის) 2018/1806 რეგულაცია ვრცელდება და შენგენის ოთხ ასოცირებულ ქვეყნას.

<sup>24</sup> შედეგად შეიქმნა საზღვრის მართვისა და კოორდინაციის მთავარი სამმართველო, რომელმაც საზღვრის მართვის განყოფილება და ყველა სასაზღვრო გამტარი პუნქტი ერთ სტრუქტურაში მოაქცია.

<sup>25</sup> პოლიტიკისა და ღონისძიებების გადახედვა მოხდება ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მხარდასაჭერად ევროკავშირის ახალი პროექტის დახმარებით, რომელიც 2018 წლის სექტემბერში დაიწყო და გაძლიერდება ევროპის პოლიციის სამსახურთან (Europol) შეთანხმების განხორციელების საშუალებით.

აკრძალულ **ნარკოტიკებთან** ბრძოლის მიმართებაში, ნარკოტიკებისა და ნარკომანის მონიტორინგის ევროპულ ცენტრთან (EMCDDA) 2018 წლის მარტში ხელმოწერილი ურთიერთგაგების შესახებ მემორანდუმის შესაბამისად საქართველოში შეიქმნა ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი, თუმცა ის ჯერ სრულად არ ფუნქციონირებს. 2018 წლის მარტში საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა სისხლის სამართლის სანქციები მარიხუანას მოხმარებასთან დაკავშირებით და 2018 წლის ივლისში ადმინისტრაციული ჯარიმები. 2018 წლის 30 ნოემბერს პარლამენტმა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებთან შესაბამისობისთვის საკანონმდებლო პაკეტი მიიღო, რომელიც ამავდროულად მარიხუანას მოხმარებას ზღუდავდა. პარალელურად, მთავრობა გამოვიდა კანონპროექტის ინიციატივით, რომელიც სამედიცინო მიზნებისათვის მარიხუანას წარმოებას დაუშვებდა, მაგრამ ამ კანონპროექტმა უთანხმოება გამოიწვია და ის პარლამენტმა დაბლოკა.

რაც შეეხება **ფულის გათეთრებისა** და ტერორიზმის დაფინანსების საწინააღმდეგო კანონმდებლობას, 2018 წლის იანვარში ეროვნულ ბანკთან დაკავშირებულ ორგანულ კანონში ცვლილებები შევიდა. კანონმა გააფართოვა ცენტრალური ბანკის უფლებამოსილება საბანკო საქმიანობის ლიცენზირების სფეროში და სხვა ფინანსური ინსტიტუტებისთვის ფინანსურ ბაზარზე შესვლის წესები უფრო გაამკაცრა. საკანონმდებლო ცვლილებებმა ასევე გაზარდა ჯარიმები ვალდებულებების დარღვევისთვის, რომელიც ფულის გათეთრების საწინააღმდეგო კანონმდებლობით იყო გათვალისწინებული. ახალი კანონი, რომელიც ევროკავშირის ფულის გათეთრების საწინააღმდეგო დირექტივისა და ევროპის საბჭოს სტანდარტების დანერგვას ითვალისწინებს, მთავრობას 2018 წლის ნოემბერში წარედგინა.

**პოლიციის საერთაშორისო თანამშრომლობასთან** დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გააფორმა 21 საერთაშორისო ხელშეკრულება და 2 მემორანდუმი თანამშრომლობის შესახებ, ევროპის პოლიციის სამსახურთან (Europol) 2017 წლის თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების განხორციელების მიზნით. ურთიერთგაგების მემორანდუმი კომუნიკაციის უსაფრთხო არხის (SIENA) შესახებ ძალაში 2018 წლის 20 ივნისს შევიდა.

**მონაცემთა დაცვის სფეროში** მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა<sup>26</sup> საჯარო დაწესებულებების მიერ დარღვევების შესახებ მოქალაქეთა საჩივრების კლების

<sup>26</sup> [https://personaldata.ge/manage/res/images/2018/angarishi/angarishi\\_2017.pdf](https://personaldata.ge/manage/res/images/2018/angarishi/angarishi_2017.pdf)

ტენდენცია აღნიშნა. 2017 წლის აპრილის კანონი ფარული თვალთვალის შესახებ კვლავ საკონსტიტუციო სასამართლოშია გასაჩივრებული<sup>27</sup>.

### 3. ეკონომიკური განვითარება და ბაზრის შესაძლებლობები

#### 3.1 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები

საგარეო *ვაჭრობის* მხრივ, 2017 წელს საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორი კვლავ ევროკავშირი იყო, რომლის წილმაც მთლიანი ვაჭრობის 27% შეადგინა. 2017 წელს ევროკავშირი - საქართველოს ორმხრივი ვაჭრობა 2.66 მილიარდი ევროს ტოლი იყო. 2018 წლის პირველი ცხრა თვის განმავლობაში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ევროკავშირი - საქართველოს საერთო ვაჭრობა 5%-ით გაიზარდა. ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოდან იმპორტი 0.4%-ით შემცირდა, ხოლო ევროკავშირის ექსპორტი საქართველოში 7%-ით გაიზარდა. ვაჭრობასთან დაკავშირებულ სფეროებში საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების პროცესი 2018 წელს წინ წაიწია. გარდა ამისა, 2018 წელს საქართველომ გააგრძელა მოლაპარაკებები და თავისუფალი ვაჭრობის სხვადასხვა ხელშეკრულება<sup>28</sup> გააფორმა. საქართველო ასევე ვაჭრობის ხელშეწყობის ეროვნული კომიტეტის შექმნისთვის აუცილებელი შიდა პროცედურების დასრულების პროცესშია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ვაჭრობის ხელშეწყობის შესახებ შეთანხმების შესაბამისად.

*ვაჭრობაში ტექნიკურ ბარიერებთან* დაკავშირებით, საქართველო განაგრძობს ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, შემდეგ სფეროებში: ა) *სტანდარტები და მეტროლოგია*, სადაც ტენიანობის დადგენის ლაბორატორიამ გაიარა საექსპერტო შეფასება რეფერენს ლაბორატორიად საერთაშორისო აღიარების მისაღებად; ბ) *აკრედიტაცია*, სადაც საქართველოს აკრედიტაციის ცენტრი ევროკავშირის სტანდარტების დანერგვისთვის ემზადება, მათ შორის ინფორმაციული უსაფრთხოების მართვისა და პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სფეროებში; გ) *ბაზრის ზედამხედველობა*, სადაც ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო (TCSA) უზრუნველყოფს ბაზრის ზედამხედველობის სერვისებს სამრეწველო და სამომხმარებლო პროდუქციის ასორტიმენტთან მიმართებაში.

<sup>27</sup> კანონი გასაჩივრა სახალხო დამცველმა და 326 მოქალაქემ საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის გადაწყვეტილებასთან წინააღმდეგობაში მოსვლის გამო.

<sup>28</sup> შეთანხმებები ვაჭრობის შესახებ ჩინეთთან და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან (EFTA) ძალაში შევიდა შესაბამისად 2018 წლის 1 იანვარს და 2018 წლის 1 მაისს. 2018 წლის 28 ივნისს საქართველომ ჰონკონგთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებას ხელი მოაწერა. საქართველო ინდოეთსა და ისრაელთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებების დაწყების პროცესშია.

**სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სტანდარტების** მხრივ, სურსათის ეროვნული სააგენტო აგრძელებდა ინსტიტუციური განვითარების პროცესს სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსტიტუციური განვითარების და სარეგორმო გეგმის მიხედვით და დაიწყო ხარისხის მართვის სისტემის შემუშავებისათვის მოსამზადებელი სამუშაოები. პერსონალს კვლავ უტარდებოდა ინტენსიური ტრენინგები, ხოლო საკანონმდებლო დაახლოების პროცესი გეგმის შესაბამისად მიმდინარეობდა. 2018 წელს ჩატარებული სამომხმარებლო კვლევების საფუძველზე ჩანს, რომ სურსათის ეროვნული სააგენტოს და მისი ფუნქციების შესახებ საზოგადოების ინფორმირება უმჯობესდება, თუმცა ინფორმირების დონე კვლავ შედარებით დაბალია. 2017 წელს, სურსათის ეროვნული სააგენტო ინტენსიურად იყო ჩართული ქმედებებში ფაროსანას შემოსევის წინააღმდეგ - ფაროსანას შემოსევამ სოფლის მეურნეობის პროდუქციის, განსაკუთრებით თხილის<sup>29</sup> და ციტრუსის მნიშვნელოვანი დანაკარგები გამოიწვია. 2018 წელს ამ მავნე მწერის მონიტორინგისა და კონტროლის მიზნით გაწეულ ძალისხმევას დადებითი შედეგები მოაქვს და წინასწარი ვარაუდით დანაკარგები 2018 წელს ნაკლებად მძიმე იყო.

რაც შეეხება **საბაჟოს და ვაჭრობის ხელშეწყობას**, 2018 წლის თებერვალში ძალაში შევიდა კანონი ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ. 2018 წლის ივნისიდან პან-ევრო-ხმელთაშუა ზღვის პრეფერენციული წარმოშობის წესების შესახებ რეგიონულ კონვენცია მოქმედებს. ამჟამად მიმდინარეობს ახალი საბაჟო კოდექსის პროექტის საბოლოო გადახედვა. საქართველო ახორციელებს შესაბამის საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და ტექნიკურ რეფორმებს, რათა მიუერთდეს ევროკავშირის კონვენციას ტრანზიტის საერთო პროცედურის შესახებ და კონვენციას საქონლით ვაჭრობაში ფორმალობების გამარტივების შესახებ. საქართველო ასევე არის ვაჭრობის ხელშეწყობის ეროვნული კომიტეტის შექმნის პროცესში, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ვაჭრობის ხელშეწყობის შესახებ შეთანხმების შესაბამისად.

**მომსახურების** ნაწილში, საქართველო ახორციელებს საფოსტო მომსახურებასთან დაკავშირებული ახალი კანონპროექტის "საქართველოს ფოსტის შესახებ" მომზადებას და მიღებას.

საქართველომ გააგრძელა ძალისხმევა **ციფრული ეკონომიკისა და საზოგადოების** სფეროში, ეკონომიკური და ბიზნეს შესაძლებლობების ხელშესაწყობად, ციფრული კომპეტენციების გასაძლიერებლად და ელექტრონული ვაჭრობის გასანვითარებლად. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში "საქართველო 2020", ისევე, როგორც მთავრობის ეკონომიკურ პროგრამაში 2018-

<sup>29</sup> 2017 წელს შეინიშნებოდა თხილის ექსპორტის მნიშვნელოვანი შემცირება და ეს ნაწილობრივ შეიძლება ამ მოვლენას უკავშირდებოდეს



2020 წლებისთვის, პრიორიტეტულია ვალდებულება ქვეყნის მასშტაბით საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობისა და სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარების თაობაზე. ქვეყანა ამჟამად ეროვნული ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სტრატეგიასა და შესაბამის სამოქმედო გეგმაზე მუშაობს. საქართველოს ელექტრონული კომერციის შესახებ კანონპროექტი ელექტრონული კომერციის დირექტივის<sup>30</sup> შესაბამისად ჯერ კიდევ კონსულტაციის პროცესშია. საქართველოს კანონმდებლობა (კანონი ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ) ელექტრონული იდენტიფიკაციის და სანდო სერვისების შესახებ ევროკავშირის (eIDAS) რეგულაციასთან<sup>31</sup> შესაბამისობაში 2018 წლის ივლისში მოვიდა.

**სახელმწიფო შესყიდვების** სფეროში მთავრობისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ 2016 წელს შემუშავებული საგზაო რუკის შესაბამისად გრძელდება 2022 წლამდე ამ სფეროში კანონმდებლობის ხუთ ეტაპად ჰარმონიზაციის უზრუნველყოფა. ეს საგზაო რუკა ჯერ კიდევ არ მიუღია ვაჭრობის სფეროში ასოცირების კომიტეტს მიუხედავად იმისა, რომ ეს არის ასოცირების შესახებ შეთანხმების მოთხოვნა. ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ შეიმუშავა საკანონმდებლო ცვლილებები და უზრუნველყო შესაბამისი ორგანოს შექმნა, რომელიც ხელშეკრულებაზე ხელმომწერი მხარეების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს განიხილავს. პარლამენტმა ცვლილებები 2017 წლის 23 დეკემბერს მიიღო. ცვლილებების მიხედვით, ახალი მაკონტროლებელი ორგანო სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლების მონაწილეობით შეიქმნა. თუმცა, ეს გადაწყვეტილება არ შეესაბამება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ შეთანხმებაში მითითებულ მოთხოვნებს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მაკონტროლებელი ორგანოს შექმნის თაობაზე.

დაგეგმილი ფართომასშტაბიანი ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში, 2018 წლის 24 მაისს პარლამენტმა ამოქმედა ახალი კანონმდებლობა **საჯარო და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის** შესახებ, რომელიც თანამშრომლობისთვის საერთო მიზნებს, პრინციპებსა და კრიტერიუმებს განსაზღვრავს. ის ასევე აწესებს ღირებულების ზღვარს საჯარო და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის პროექტად განსახილველი პროექტებისთვის 5 მილიონ ლარზე ზემოთ (დაახლოებით 1.76 მილიონი ევრო). თუმცა, ეს ახალი

<sup>30</sup> დირექტივა 2000/31/EC ელექტრონული კომერციის შესახებ.

<sup>31</sup> რეგულაცია (EU) N°910/2014. ელექტრონული იდენტიფიკაციის და სანდო სერვისების შესახებ (eIDAS) რეგულაცია.

საკანონმდებლო ბაზა ამ სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობას არ შეესაბამება<sup>32</sup>.

**ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან** დაკავშირებით, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა - „საქპატენტმა“ მოამზადა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების პაკეტი, რომელიც 2017 წლის ბოლოს პარლამენტმა დაამტკიცა ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოების მიზნით, რაც ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების მოთხოვნას წარმოადგენს. გეოგრაფიული აღნიშვნების სია, რომელიც ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებაში იყო შეტანილი, 2018 წლის მარტში<sup>33</sup> დაზუსტდა, სიაში შეტანილი იქნა ოთხი ახალი ქართული გეოგრაფიული აღნიშვნა და ევროკავშირის განახლებული ღვინოების სია.

საქართველო განაგრძობს **კონკურენციის შესახებ** ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების დებულებებთან დაახლოებას, რა დროსაც ყურადღება ეთმობა საქართველოს კონკურენციის სააგენტოს შესაძლებლობების განვითარებას, კონკურენციის სააგენტოსა და სექტორის მარეგულირებლებს შორის თანამშრომლობასა და კონკურენციის საჯარო კულტურის ხელშეწყობას.

### 3.2 ეკონომიკური განვითარება

რაც შეეხება **მაკროეკონომიკურ** მდგომარეობას, 2015-2016 წლების ზრდის ტემპის ვარდნის შემდეგ საქართველოში ეკონომიკური ზრდის ტემპის სტაბილური აღდგენა მიმდინარეობს. 2018 წლის პირველი ცხრა თვის განმავლობაში საქართველოს რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 4.9% -ით გაიზარდა, რაც ქვეყნის შიდა და გარე მოთხოვნილებებმა განაპირობა. ეს დადებითი ტენდენცია ეფუძნება ფართო აღდგენას 2017 წელს, რომელიც გარე შოკებით გამოწვეულ ორწლიან დაღმავლობას მოჰყვა. სამომხმარებლო ფასების ინფლაცია 2017 წელს 6%-იდან 2018 წლის პირველი ათი თვის განმავლობაში 3%-ზე ნაკლებ დონემდე შემცირდა, რის შედეგადაც ცენტრალურმა ბანკმა 2018 წლის ივლისში რეფინანსირების განაკვეთი 7%-მდე შეამცირა. ქართული ლარი კვლავ შედარებით არასტაბილურია აშშ დოლართან მიმართებაში, რაც მაღალი დოლარიზაციის მქონე ეკონომიკის პირობებში რისკს ქმნის მიუხედავად დოლარიზაციის თანდათანობით

<sup>32</sup> დირექტივა 2014/23 / EU კონცესიური ხელშეკრულებების თაობაზე.

<sup>33</sup> გეოგრაფიული აღნიშვნების ქვეკომიტეტის 1/2018 გადაწყვეტილება

შემცირებისა. ეკონომიკური ზრდისა და ძალისხმევის კონსოლიდაციის ფონზე ფისკალური დეფიციტი 2017 წელს მშპ-ს 3.9%-დან 2018 წელს მშპ-ს 3.3%-მდე შეცირდა. ეკონომიკურმა ზრდამ ასევე საშუალებას მისცა საქართველოს 2018 წელს თავისი სახელმწიფო ვალი ოდნავ შეემცირებინა. ამავდროულად, საქართველო გარე არასტაბილურობის რისკების წინაშე მიმდინარე ანგარიშის დიდი დეფიციტისა და მაღალი საგარეო ვალის<sup>34</sup> სახით. საქართველოს საერთაშორისო რეზერვები ბოლო წლებში იზრდებოდა, 2018 წლის ოქტომბრის ბოლოსთვის 2.7 მილიარდ ევროს მიაღწია (3 თვეზე მეტი იმპორტი), მაგრამ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ დადგენილ საკმარის დონეზე დაბალია. ეს რისკები ძლიერდება გარე ფაქტორების გამო, როგორცაა განვითარებადი ბაზრებისთვის დაფინანსების პირობების გამკაცრება და თურქეთის სავალუტო კრიზისი.

**ბიზნესგარემოს<sup>35</sup>** საერთაშორისო ინდიკატორებით საქართველოს კვლავ მოწინავე ადგილი უკავია და აგრძელებს ზომების გატარებას საგადასახადო რეჟიმის, ბიზნესის მმართველობის და დაფინანსებასა და ინოვაციურ ტექნოლოგიებთან წვდომის გაუმჯობესებისთვის, რათა შენარჩუნებულიყო ბიზნესისთვის ხელსაყრელი ჩარჩო. 2018 წლის ივლისში მნიშვნელოვნად შემცირდა ბრუნვის გადასახადი მცირე ბიზნესისთვის (შემოსავლების 5% -დან 1% -მდე).

რაც შეეხება **სოფლის მეურნეობას**, 2015-2020 წლებისთვის სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის და 2017-2020 წლებისთვის საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგიის განხორციელება მიმდინარეობს. მნიშვნელოვანი ეტაპი იყო 2017 წლის დეკემბერში სოფლის მეურნეობის ექსტენციის სტრატეგიის მიღება. ამ სტრატეგიის განხორციელება 2018 წელს დაიწყო.

ასევე შეინიშნება წინსვლა პროდუქციის ღირებულების ჯაჭვის და ინფორმაციული ტექნოლოგიების საშუალებათა განვითარებაში, როგორცაა საბაზრო საინფორმაციო სისტემის გაუმჯობესებული ვერსია, რომელიც 2017 წლის დეკემბრიდან<sup>36</sup> ონლაინ არის ხელმისაწვდომი. პროდუქციის ბაზრის ტენდენციებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, 2018 წლის დასაწყისიდან სასოფლო-სამეურნეო კვლევებისთვის მონაცემების ელექტრონულად შეგროვება დაიწყო. ეს, სავარაუდოდ, გამოიწვევს სოფლის მეურნეობის სტატისტიკის ხარისხისა და რეგულარობის გაუმჯობესებას.

<sup>34</sup> ანგარიშის დეფიციტი: 2017 წელს მშპ-ს 8.9% და მშპ-ს 9.2% 2018 წლის ივნისში. საგარეო ვალი: 109% მშპ 2018 წლის ივნისის ბოლოსთვის.

<sup>35</sup> მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების“ 2019 წლის ანგარიშის მიხედვით საქართველო 6 ადგილზეა 190 ქვეყანას შორის.

<sup>36</sup> ბაზრის საინფორმაციო სისტემის ეს ვერსია საშუალებას აძლევს ფერმერებს მონიტორინგი გაუწიონ საკვები პროდუქტების ფასებს ქვეყნის მასშტაბით ასამდე სასოფლო-სამეურნეო და კვების პროდუქტებზე.

2018 წლის მარტში სოფლის მეურნეობის სამინისტრო გარემოს დაცვის სამინისტროსთან გაერთიანდა, რის შედეგადაც შეიქმნა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. 2018 წლის დეკემბერში საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად გამოაცხადა "სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების შესახებ" საქართველოს კანონის დებულება, რომელიც უცხო ქვეყნის მოქალაქეებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებაში ქონას უკრძალავდა, სანამ კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებები არ ამოქმედდებოდა.

მოსალოდნელია, რომ მთელი რიგი რეფორმების<sup>37</sup> გაზრდის ღვინის სექტორის მდგრადობასა და მომგებიანობას, რაც მსოფლიო ბაზარზე ქართული ღვინის კონკურენტუნარიანობის ზრდას გამოიწვევს. სამთავრობო პროგრამები კვლავაც მხარს უჭერს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს. 2017 წლის თესლთან დაკავშირებული კანონის მიღების შემდეგ ხორბლისა და ქერის სერტიფიცირება გაუმჯობესდა.

2018-2020 წლებისთვის გათვალისწინებული **სოფლის განვითარების** სამოქმედო გეგმა მიღებულია 2017 წლის დეკემბერში. იგი მოიცავს მთავრობის პროგრამების ამომწურავ ჩამონათვალს, რომელიც ხელს უწყობს სოფლის განვითარებას სასოფლო-სამეურნეო კონკურენტუნარიანობის, დივერსიფიკაციის საშუალებით ეკონომიკური შესაძლებლობების ზრდის, სოციალური სიკეთეების უკეთესი ხელმისაწვდომობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური მართვის მეშვეობით. ამჟამად, მთავრობის მიერ ხორციელდება 47 პროგრამა, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილი სამუშაოების 86% შესრულდა და მათი ღირებულება 550 მილიონ ლარამდეა (დაახლოებით 188 მილიონი ევრო) 2017 წელს.<sup>38</sup>

**რეგიონული განვითარების** სფეროში საქართველომ 2018 წლის ივლისში თავისი მეორე, 2018-2021 წლების მულტისექტორული რეგიონული განვითარების პროგრამა დაამტკიცა. მას უფრო ტერიტორიული მიმართულება გააჩნია (დადგინდა ოთხი საპილოტე რეგიონი, ორი მათგანი ემთხვევა ევროკავშირისა და საქართველოს მიერ ერთობლივად განსაზღვრულ სამიზნე რეგიონებს<sup>39</sup>) და 2021 წლისთვის მიზნობრივი მაჩვენებლების ინდიკატორებს ადგენს. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, რეგიონალურ / ადგილობრივ

<sup>37</sup> ქართული ღვინის სტრატეგია მომზადდა და ოფიციალურ მიღებას ელოდება; შემუშავდა წინადადება ღვინის ეროვნული სააგენტოს საჯარო და კერძო თანამშრომლობად რესტრუქტურისთვის თაობაზე.

<sup>38</sup> გეგმის განხორციელება მიმდინარეობს სოფლის განვითარების პროგრამის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ზედამხედველობით, რომელსაც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ხელმძღვანელობს. ინერგება მონიტორინგისა და შეფასების სპეციალური სისტემა, რომელიც მნიშვნელოვანი იქნება შესრულებული სამუშაოს შესახებ პასუხისმგებელი და სანდო ანგარიშგებისათვის.

<sup>39</sup> ოთხი სამიზნე რეგიონია: კახეთი, იმერეთი, გურია და რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი.

ხელისუფლებასთან და ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან ერთად ასევე ამზადებს რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე ტერიტორიული განვითარების გეგმებს, რათა შეიქმნას ეკონომიკური განვითარებისა და ზრდის ცენტრები, რომელიც თბილისსა და ბათუმს გარეთ მოეწყობა.

რაც შეეხება **საჯარო ფინანსების მართვას, კონტროლსა და აუდიტს**, ეროვნულ და საერთაშორისო დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების შემდეგ, 2018-2021 წლების საჯარო ფინანსების მართვის სტრატეგია შემუშავდა. იგი აჯამებს იმ შედეგებს, რაც აქამდე მიღწეულია<sup>40</sup> და საჯარო ფინანსების მართვას და ეკონომიკური მმართველობის რეფორმების გაღრმავებას მოიცავს. რაოდენობრივი პროგრესი ასევე მოიცავს ფისკალური რისკისა და ვალის მდგრადობის ანალიზს, რომელიც რეგულარულად მზადდება ფინანსთა სამინისტროს მიერ და ბიუჯეტს თან ერთვის, საშუალოვადიანი სტრატეგიების განახლებულ მეთოდოლოგიასა და კაპიტალური პროექტების შერჩევისა და აღსრულების სისტემის ჩამოყალიბებას. 15 დარგობრივ სამინისტროში შეიქმნა საბაზო შიდა ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა. სახელმწიფო ხაზინამ ასევე გააუმჯობესა საერთაშორისო საჯარო სექტორის საბუღალტრო სტანდარტების დანერგვა. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა საქმიანობის აუდიტის ჩატარების და სამთავრობო პროგრამების ეფექტურობისა და ეფექტიანობის შესახებ საჯარო ანგარიშგების შესაძლებლობები აიმაღლა, რითიც სახელმწიფო მართვის და ანგარიშგების მეტ გამჭვირვალობას შეუწყო ხელი<sup>41</sup>. წინსვლა საჯარო ფინანსების მართვისა და ანგარიშვალდებულების საკითხებში ასევე აისახა 2018 წლის იანვრის ღია ბიუჯეტის ინდექსის<sup>42</sup> (OBI) მიერ.

**საგადასახადო სისტემის** მიმართულებით, საქართველო განაგრძობს კანონმდებლობის ევროკავშირის შესაბამის დირექტივებთან<sup>43</sup> დაახლოებას. მესამე ქვეყნებიდან მგზავრთა მიერ შემოტანილი საქონელი გათავისუფლებულია დღგ-სგან და აქციზის გადასახადებიდან. ალკოჰოლზე აქციზის გადასახადის სტრუქტურა ევროკავშირის პრაქტიკას შეესაბამება. მეორე მხრივ, თამბაქოს აქციზის გადასახადი, კვლავ უნდა იყოს ჰარმონიზებული. საგადასახადო

<sup>40</sup> რაც დადასტურებულია 2017 წლის საჯარო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების და ბიზნესის რეიტინგული სააგენტოების შეფასებებით.

<sup>41</sup> სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებპლატფორმა "ბიუჯეტის მონიტორი", რომელიც უზრუნველყოფს საჯარო ფინანსების, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშებისა და მუშაობის შესახებ ინფორმაციის საჯარო ხელმისაწვდომობას, გახდა გაერო-ს მსოფლიო სამიტის ერთ-ერთი გამარჯვებული, 2017 წლის მთავრობისა და მოქალაქეთა ჩართულობისათვის.

<sup>42</sup> ღია ბიუჯეტის ინდექსი საქართველოს ყველა შეფასებულ ქვეყანას შორის მე -5 ადგილზე აყენებს და 2015 წლის ღია ბიუჯეტის ინდექსისთან შედარებით 14 ქულით ზრდას აჩვენებს. კერძოდ, საქართველო უზრუნველყოფს ყველა ძირითად საბიუჯეტო დოკუმენტის (მათ შორის, "ბიუჯეტის სახელმძღვანელო მოქალაქეებისთვის"), საჯაროდ ონლაინ გამოქვეყნებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. <https://www.internationalbudget.org/open-budget-survey/open-budget-index-rankings/>

<sup>43</sup> 2007/74/EC; 85/560/EEC; 92/83/EEC; 2008/118/EC

კოდექსის ცვლილებები ასევე ასახავს რეკომენდაციებს, რომელიც ეხება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებულ დღგ-ს, უკუდაბეგვრას და ურთიერთდაკავშირებულ პირებს.

**სტატისტიკის** მიმართულებით, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური („საქსტატი“) მუშაობს ასოცირების შესახებ შეთანხმების მოთხოვნების შესრულებასა და განხორციელებაზე და საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის ევროპის სტატისტიკურ სტანდარტებთან<sup>44</sup> სტაბილურად დაახლოებაზე. საქსტატი უკვე ევროპულ და სხვა საერთაშორისო სტანდარტებს მიჰყვება და ზოგადად მაღალი ხარისხის სტატისტიკას აწარმოებს. თუმცა მაინც აკლია რესურსები და სჭირდება უკეთესი წვდომა მიგრაციის მონაცემებზე როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნებს შორის. მიმდინარეობს საქართველოს სტატისტიკური სისტემის გლობალური შეფასება; საბოლოო ანგარიში 2019 წლის მეორე ნახევარშია მოსალოდნელი.

რაც შეეხება **სამრეწველო და სამეწარმეო პოლიტიკას**, მთავრობა აგრძელებს მუშაობას სხვადასხვა მიმართულებით, რაც მიზნად ისახავს სამთავრობო საკონსულტაციო და მხარდამჭერ მომსახურებას მცირე და საშუალო ბიზნესისათვის, განსაკუთრებით ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) მიერ შემოთავაზებულ ბიზნეს-შესაძლებლობებთან დაკავშირებით. საქართველოს მეწარმეთა 2018 წლის სექტემბრის მონაცემებით, „აწარმოე საქართველოში“ პროგრამამ 406 ბიზნესს მხარი დაუჭირა, სადაც მთლიანი საინვესტიციო ღირებულება 991 მილიონი ლარი (დაახლოებით 330 მლნ ევრო) შეადგინა და 15 500-ზე მეტი სამუშაო ადგილი შექმნა. ამჯამად მუშავდება ანალიტიკური ინსტრუმენტი ექსპორტის და ეროვნული სამოსის განვითარების სტრატეგიის განსავითარებლად. ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცესთან დაკავშირებული საკითხების მომცველი ვებ-პორტალი გაფართოვდა<sup>45</sup>. ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცესთან დაკავშირებული საინფორმაციო ცენტრები მათი მუშაობის პირველი წლის განმავლობაში ოთხ რეგიონში 1500-მდე მცირე და საშუალო საწარმოს მოემსახურა. მცირე და საშუალო ბიზნესის სტრატეგიის განახლებული სამოქმედო გეგმა მიღებულია 2018 წელს. შეიქმნა სამი ბიზნეს კლასტერი (ავეჯი/ინტერიერი, კინოპროდუქცია და საინფორმაციო ტექნოლოგიები) და სამთავრობო

<sup>44</sup> საქსტატმა დაიწყო მუშაობა ბიზნესის სტატისტიკის მეთოდოლოგიის ევროკავშირის სტანდარტებთან და ბიზნეს სტატისტიკასთან შესაბამისობაზე, რაც მომავალ მონაცემთა მოთხოვნებზეა ორიენტირებული; მან ასევე სტატისტიკური კვლევების უმრავლესობისთვის ხარისხობრივი ანგარიშები დანერგა. საქსტატი ასევე ასრულებს ეროვნული ანგარიშების სისტემა 2008 დანერგვას, მონაცემთა შეგროვების და წარმოებისა და გავრცელების მეთოდების მოდერნიზებას.

<sup>45</sup> საიტი "dcfta.gov.ge" ახლა მოიცავს ვიდეო ინსტრუქციებს იმ წესებსა და პროცედურებზე, რომელიც ევროკავშირში ექსპორტისთვის საქართველოს მეწარმეებმა უნდა შეასრულონ.

უწყებები მათ მხარდაჭერას ამ მიზნისთვის მორგებული საშუალებებით განაგრძობს.

**სამომხმარებლო პოლიტიკის** მიმართულებით პარლამენტი ისევ აგრძელებს მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ 2015 წელს ინიცირებულ კანონპროექტზე მუშაობას, რომელიც აქამდე არ არის მიღებული.

**კორპორაციული სამართლის** მიმართულებით 2018 წელს დასრულდა ახალ კანონპროექტზე მუშაობა, მათ შორის მომხმარებელთა უფლებებთან დაკავშირებული დირექტივების დაახლოება. მარეგულირებელი ზეგავლენის შეფასებამ<sup>46</sup> დაადასტურა ასოცირების ხელშეკრულებაში მითითებულ ევროკავშირის (შესწორებულ) დირექტივებთან კანონპროექტის შესაბამისობა და პოტენციური ზემოქმედების თვალსაზრისით ზოგადად კარგი პერსპექტივა აღნიშნა. კანონპროექტი პარლამენტში ჯერ არ არის წარდგენილი. დაახლოების კუთხით, მარეგულირებელი ზეგავლენის შეფასება აცხადებს, რომ ცვლილებები ნერგავს დამატებით კორპორატიულ თანხმობებსა და ნებართვებს, მინიმალური კაპიტალის მოთხოვნებს სააქციო კომპანიებისთვის და სხვა საკითხებთან ერთად საჭიროა სარეზერვო კაპიტალის შენარჩუნება.

**საზღვაო საკითხების** თვალსაზრისით, ცვლილებები შევიდა კანონში საზღვაო სივრცის შესახებ, მათ შორის მიღებული იყო შავი ზღვის დაცვის ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. მზადდება საზღვაო სტრატეგია. 2018 წლის მაისში საქართველო მიუერთდა ბურგასის მინისტერიალის დეკლარაციას, რომელიც 2019 წელს შავი ზღვის საზღვაო საქმეებზე სტრუქტურული თანამშრომლობის ჩამოყალიბების ახალ ეტაპს წარმოადგენს. ამჟამად საქართველო რამდენიმე საერთაშორისო კონვენციასა და პროტოკოლთან<sup>47</sup> მიერთების პროცესშია. ქვეყანა ასევე 2006 წლის საერთაშორისო საზღვაო შრომის კონვენციის (MLC 2006) რატიფიკაციის ინიცირების და მეზღვაურთა დასაქმების შესახებ კანონის მიღების პროცესშია, რომელიც 2006 წლის საზღვაო შრომის კონვენციის მოთხოვნებს ითვალისწინებს.

<sup>46</sup> მარეგულირებელი ზეგავლენის შეფასება მომზადდა ევროკავშირისა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) საქართველოში სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის განვითარების პროექტის ფარგლებში დაფინანსებული გარე ექსპერტების მიერ. მარეგულირებელი ზეგავლენის შეფასების თანახმად, 2012/30/EU დირექტივა, რომელიც ფარავს საჯარო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების ფორმირებას და მათი კაპიტალის შენარჩუნებისა და შეცვლის წესებს, სავარაუდოდ, ყველაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს კანონპროექტის შემუშავებასა და განხორციელებაზე.

<sup>47</sup> ესენია: „საბუნკერო საწვავით დაბინძურების შედეგად გამოწვეული ზარალის გამო წარმოშობილი სამოქალაქო პასუხისმგებლობის შესახებ“ საერთაშორისო კონვენცია; 2002 წლის ათენის კონვენცია ზღვით მგზავრების გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის შესახებ; 2001 წლის საერთაშორისო კონვენცია გემებზე მავნე ნიჟარებითა და წყალმცენარეებით დაფარვის საწინააღმდეგო სისტემებთან დაკავშირებით (AFS კონვენცია); 1988 წლის ოქმის „სატვირთო მარკის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციისთვის.

საქართველო აქტიურად თანამშრომლობს ხმელთაშუა ზღვის თევზჭერის გენერალურ კომისიასთან (GFCM), "არაწევრი პარტნიორი ქვეყნის" სტატუსით. თანამშრომლობა ეხება როგორც ხმელთაშუა ზღვის თევზჭერის გენერალური კომისიის 2017-2020 მრავალწლიანი სტრატეგიის განხორციელებას, ასევე ამ კომისიის მენეჯმენტის ღონისძიებებს<sup>48</sup>. ქვეყანა ასევე განაგრძობს გენერალური კომისიის BlackSea4Fish პროექტში მონაწილეობას. 2018 წლის ივნისში საქართველომ ხელი მოაწერა სოფიას დეკლარაციას შავი ზღვის თევზჭერისა და აკვაკულტურის მდგრადობაზე და მზად არის გააგრძელოს თანამშრომლობა ევროკავშირთან თევზჭერის საკითხებზე, მათ შორის უკანონო, შეუთანხმებელი და დაურეგულირებელი თევზჭერის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით.

**ტურიზმი** კვლავაც სწრაფად მზარდი სექტორია. 2017 წელს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ 7.9 მილიონი საერთაშორისო ჩამოსვლა (2016 წელთან შედარებით 18%-იანი ზრდა) დააფიქსირა, საიდანაც 4.1 მილიონი იყო ტურისტული ტურები (ღამისთევით) - 2016 წელთან შედარებით 23%-იანი ზრდა. შედეგად 2.4 მილიარდი ევრო შემოვიდა, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 6.9%-ს შეადგენს. პროგნოზებით, 2018 წელი საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობით<sup>49</sup> კიდევ ერთი რეკორდული წელი იყო. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მარკეტინგისა და საინფორმაციო საქმიანობამ სექტორის ზრდაში წვლილი შეიტანა. უცხოურმა ინვესტიციებმა მთელი ქვეყნის მასშტაბით სასტუმროების მშენებლობას ხელი შეუწყო. მთავრობა განსაკუთრებულად მხარს უჭერს ანაკლიის და ქობულეთის ზღვისპირა რეგიონებს და მაღალმთიან ქალაქ მესტიას საჭირო ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და პოტენციური ინვესტორებისთვის შეღავათიანი პირობების შეთავაზების საშუალებით.

**ფინანსური მომსახურების** კუთხით, ცენტრალური ბანკი აუმჯობესებს საბანკო სისტემის, გადახდების, კაპიტალისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირების და ზედამხედველობის ჩარჩოების გაძლიერებას. ცენტრალური ბანკი ასევე ასრულებს მაკროპრუდენციული ინსტრუმენტების დანერგვას სავალუტო შეუსაბამობების, უძრავი ქონების რისკების და სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკების საკითხების მოსაგვარებლად. უიმედო სესხები შემცირდა სესხების საერთო მოცულობის 2.9%-მდე (2018 წლის იანვარი), 3.8%-დან წინა წელთან შედარებით. მომგებიანობა კვლავ მაღალია, კაპიტალის და აქტივების რენტაბელურობა ახლოს არის შესაბამისად 20% და 3%-თან. ამასთანავე, დაინერგა დედოლარიზაციის ზომები. ცენტრალური ბანკი ასევე დგამს ნაბიჯებს, რომ

<sup>48</sup> შავი ზღვის მრავალწლიანი მართვის პირველ გეგმას პალტუსის მეთევზეობისთვის და პალტუსის მეთევზეობისთვის საპილოტე საერთაშორისო ინსპექციის სქემას მოიცავს.

<sup>49</sup> 2018 წელს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ელოდება 8 მილიონზე მეტ საერთაშორისო ტურისტს და 3 მილიარდ აშშ დოლარ შემოსავალს ტურიზმიდან.



შეიმუშავოს პასუხისმგებელი დაკრედიტების ჩარჩო, დაიცვას მომხმარებლები და გააუმჯობესოს ფინანსური განათლება<sup>50</sup>. საქართველოს სადაზღვევო სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურმა გააუმჯობესა კანონმდებლობა მესამე პირისადმი ავტომფლობელთა პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის თაობაზე<sup>51</sup>.

**დასაქმების და სოციალური პოლიტიკების** თვალსაზრისით, უმუშევრობის დონე საქართველოში კვლავ მაღალია (13.7% -მა 2017 წელს საქსტატის მონაცემებით), მიუხედავად შემცირების ტენდენციისა,<sup>52</sup> განსაკუთრებით, ახალგაზრდებს შორის<sup>53</sup>. საერთო ჯამში, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მაჩვენებელი კვლავ დაბალია და სიღარიბე კვლავ პრობლემა რჩება - მოსახლეობის 21.9% -ით სიღარიბის ზღვარს ქვემოთ. სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისია იკრიბება პლენარული შეხვედრის, ასევე სამუშაო ჯგუფის ფორმატში, თუმცა პლენარული შეხვედრა არარეგულარულად იმართება. 2017 წლის ნოემბერში საქართველომ მოახდინა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) #144 კონვენციის რატიფიცირება სამმხრივი სოციალური დიალოგის ხელშეწყობის შესახებ. კონვენციის ძალაში შესვლისთანავე, 2019 წლის მაისში საქართველო მონაწილეობას მიიღებს სავალდებულო საანგარიშგებო ციკლში მისი განხორციელების თაობაზე და პრაქტიკაში დაექვემდებარება შემოწმებას შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სახედამხედველო მექანიზმების მიერ. შრომის ინსპექტირების ამჟამინდელი სისტემა შემდგომ კორექტირებას საჭიროებს იმისთვის, რომ იყოს შრომის უფლებების შესახებ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ფუნდამენტური კონვენციების განხორციელების ეფექტური მექანიზმი.

2018 წლის აგვისტოში ძალაში შევიდა კანონი **შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის** შესახებ, რომელმაც საშუალება მისცა შრომის ინსპექტირებს განხორციელებინათ მოულოდნელი შემოწმებები და ჯარიმები გამოეყენებინათ. თუმცა, კანონის გამოყენება შეზღუდულია მთავრობის მიერ განსაზღვრული ისეთი ეკონომიკური საქმიანობისთვის, რომელიც მოიცავს

<sup>50</sup> ეს ნაბიჯები მოიცავს: რეგულაციების განახლებას პროდუქტის შესახებ ინფორმაციის გაცემის მოთხოვნების და ეფექტური საპროცენტო განაკვეთების გათვლების თაობაზე; მიმდინარე პროგრამები ფინანსური განათლების გასაუმჯობესებლად და ოჯახების ინფორმირება საფრთხეების შესახებ, როგორცაა ფინანსური გაუფრთხილებლობა, გადამეტებული დავალიანება და უცხოურ ვალუტაში სესხებთან დაკავშირებული რისკები; დაზღვევა - სადეპოზიტო გარანტიის დაცვით - დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ დადგენილი საბანკო დეპოზიტები 5000 ლარამდე ზღვრამდე. დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო მართავს სადეპოზიტო სადაზღვევო ფონდს, რომელიც იღებს კომერციული ბანკების სავალდებულო შენატანებს, 2018 წლის იანვარში ამოქმედებული სქემით.

<sup>51</sup> მიღებულია კანონი უცხოური ავტომობილების შესახებ, ხოლო კანონი ადგილობრივი ავტომობილების შესახებ მომზადების პროცესშია.

<sup>52</sup> 17.9% - 2008 წელს, 17.3% - 2011 წელს და 14.6% - 2014 წელს

<sup>53</sup> 27.1% - 15-19 წლის ასაკში, 29.6% - 20-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში და 20.8% - 25-29 წლის ასაკობრივ ჯგუფში 2017 წელს

მომეტებული საფრთხის შემცველ, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაო პირობებს. 2018 წლის 31 ოქტომბერს პარლამენტმა დაამტკიცა კანონპროექტი შრომის უსაფრთხოების შესახებ<sup>54</sup>. არ არის წინსვლა დასაქმების სამსახურის შესახებ კანონის მიღების საკითხში, ხოლო საჯარო დასაქმების ახალი მოდელის აპრობაცია შერჩეულ რეგიონებში ნელ-ნელა გრძელდება. ევროპული და საერთაშორისო სტანდარტების დასაკმაყოფილებლად მოსალოდნელია შრომის კოდექსში შემდგომი ცვლილებების შეტანა<sup>55</sup>. შესაბამის საკანონმდებლო პაკეტს პარლამენტი განიხილავს. ახალმა საპენსიო სისტემამ ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტებისგან ბევრი კრიტიკა გამოიწვია.

რაც შეეხება **საზოგადოებრივ ჯანდაცვას**, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, რომელიც 2018 წლის ივლისიდან იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებულ საკითხებსაც ფარავს, ადამიანის ჯანდაცვის ყოვლისმომცველ უფლებაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული სტრატეგიის შემუშავება დაიწყო. მოსამზადებელი სამუშაო ასევე ჩატარდა პირველადი ჯანდაცვის სისტემის განვითარების სტრატეგიის და ფსიქიკური ჯანმრთელობის სისტემის განვითარების სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად. მიმდინარეობს მუშაობა ელექტრონული ჯანდაცვის სისტემის მიმართებაში, მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად და ჯანდაცვის სისტემაში უთანასწორობის შესამცირებლად<sup>56</sup>. შესახებ. 2018 წლის ივლისში ქვეყნის საკოორდინაციო მექანიზმმა დაამტკიცა აივ-შიდსის და ტუბერკულოზის პრევენციისა და კონტროლის ეროვნული სტრატეგიული გეგმები 2019-2022 წლებისთვის. საქართველო აქტიურად მონაწილეობს დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის ევროპული ცენტრის ღონისძიებებში და ხმელთაშუა ზღვის რეგიონის ეპიდემიოლოგიის სასწავლო პროგრამის ტრენინგებში. საქართველო ასევე ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად მუშაობს სისხლის უსაფრთხოების, ქსოვილის გადანერგვისა და ჯანსაღი გარემოს საკითხებზე. თუმცა, წინსვლა უმნიშვნელოა როგორც თამბაქოს

<sup>54</sup> პროექტი ითვალისწინებს განცხადების გაფართოებას ყველა ეკონომიკურ სექტორში და ამ სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობასთან შემდგომ შესაბამისობას.

<sup>55</sup> ისეთი სიტუაციებისთვის, როგორცაა გაფიცვებში მონაწილეობა, თანაბარი ანაზღაურება ერთნაირი სამუშაოს შესრულებისას ან გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია (ორსულობა, სექსუალური ძალადობა და სხვა).

<sup>56</sup> მიმდინარე სამუშაო მოიცავს: ელექტრონულ რეცეპტებს და ელექტრონულ სამედიცინო ჩანაწერებს 2017 წლის მაისიდან, "სოციალური სამართლიანობის" მიდგომასა და ბენეფიციართა დიფერენცირების კრიტერიუმების დანერგვას შემოსავლების მიხედვით, საჭიროებისამებრ მოთხოვნილ მომსახურებაზე; საპილოტე შერჩევით შესყიდვებს მშობიარობის შემდეგ პერიოდზე მიმართული მომსახურებისთვის (დაიწყო 2017 წელს). მოსალოდნელია, რომ ეს იქნება გამოყენებული უნივერსალური ჯანდაცვის პროგრამის მიერ შემოთავაზებული სხვა სამედიცინო სერვისებთან დაკავშირებით 2018 წლის განმავლობაში, ძვირადღირებული შესყიდვების სფეროებზე ყურადღების გამახვილებით.

კონტროლის კუთხით, (რადგან თამაშების ბიზნესისა და უბაჟო რეჟიმში მოვაჭრე კომპანიების მხრიდან არის თამბაქოს კონტროლის კანონმდებლობის სათანადოდ შესრულების ხელის შეშლის მცდელობები), ასევე თამბაქოს ნაწარმით უკანონო ვაჭრობის აღმოფხვრის ოქმის რატიფიცირების კუთხით.

#### **4. ტრანსპორტი, ენერგოეფექტურობა, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ქმედებები, გარემოს დაცვა და სამოქალაქო დაცვა**

**ტრანსპორტის** სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოსვლა დადგენილ ვადებში მიმდინარეობს. განხორციელების პროცესი განიხილებოდა ტრანსპორტის საკითხებში ევროკავშირი-საქართველოს მაღალი დონის პირველი დიალოგის დროს, რომელიც თბილისში 2019 წლის 29 იანვარს ჩატარდა. 2018 წლის ივლისში საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირის ტრანსევროპული სატრანსპორტო ქსელის აღმოსავლეთ პარტნიორებთან გაფართოების შესახებ მაღალი დონის შეთანხმებას. საქართველო კიდევ უფრო გააუმჯობესებს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას დონორთა მოზიდვისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების დაფინანსების საშუალებით.

რაც შეეხება **ენერგეტიკას**, 2017 წლის 1 ივლისს საქართველო ენერგეტიკული თანამეგობრობის წევრი გახდა<sup>57</sup>. ასოცირების შესაბამისი ოქმით განსაზღვრულია ასოცირების ხელშეკრულებით შეთანხმებული ენერგობაზრის მთავარი რეფორმების განხორციელების განრიგი, მათ შორის, ელექტროენერჯის და ბუნებრივი აირის ბაზრების, ენერგოეფექტურობის, განახლებადი ენერჯის და ენერგეტიკასთან დაკავშირებული გარემოს სფეროების რეფორმები. ენერგეტიკული თანამეგობრობის სამდივნოს 2018 წლის სექტემბრის შეფასებით საქართველოს მიერ ენერგორესურსებთან დაკავშირებული კანონების (acquis) შესრულების საერთო დონე 23%-ს შეადგენს. სამხრეთ კავკასიის მილსადენის გაფართოება, რომელიც საქართველოში გამავალი ბუნებრივი აირის სამხრეთის დერეფნის ნაწილია, დასრულდა. მართალია, საქართველოს ისევ არა აქვს ენერგოეფექტურობის პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტი, მაგრამ დონორებმა მთავრობასთან თანამშრომლობით განახორციელეს რამდენიმე პროექტი ენერგოეფექტურობის გასაზრდელად, მათ შორის, შეიმუშავეს ენერგოეფექტურობის პირველი ეროვნული სამოქმედო გეგმა. ქვეყანაში ენერგოეფექტურობაზე მიმართული ინვესტიციების განსახორციელებლად უაღრესად მნიშვნელოვანია საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს შექმნა სამშენებლო სექტორში ენერგოეფექტურობის დანერგვისა და ხელშეწყობისთვის,

<sup>57</sup> ენერგეტიკული თანამეგობრობა არის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს ევროკავშირსა და მის მეზობლებს, რათა შეიქმნას ინტეგრირებული საერთო ევროპული ენერგეტიკული ბაზარი. <https://www.energy-community.org/>

რაც ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ენერგეტიკული თანამეგობრობის შესახებ ხელშეკრულებასთან მიერთების პროტოკოლის ფარგლებში საქართველოს ერთ-ერთ ვალდებულებას წარმოადგენს. მთავრობა აგრძელებს ახალი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის ხელშეწყობას; გარდა ამისა, რეგიონში ქარის ტურბინების პირველმა პარკმა საქართველოს განახლებადი ენერგორესურსები გააფართოვა. ხორციელდება ელექტროგადამცემი ქსელის გაძლიერების პროექტი, რაც ხელს შეუწყობს ელექტროენერჯის გაცვლას და ექსპორტირებას ახალი ჰიდროელექტროსადგურების ინტეგრირების გზით.

**კლიმატის ცვლილების** შესახებ პარიზის შეთანხმების რატიფიკაციის შემდეგ საქართველო ნახშირბადის გლობალური გამონაბოლქვის შეზღუდვის მოთხოვნის ფარგლებში მიზნად ისახავს ქვეყანაში ნახშირბადის გამონაბოლქვის ოდენობის შემცირებას. ახალი ვალდებულებების დონე დიდწილად დამოკიდებული იქნება გარე ფინანსური მხარდაჭერის ხელმისაწვდომობაზე. მიუხედავად ერთ სულ მოსახლეზე ემისიის დაბალი დონისა, საქართველოს კვლავ არა აქვს საკანონმდებლო ჩარჩო კლიმატის ცვლილებაზე, სადაც განისაზღვრებოდა ინსტიტუციური პასუხისმგებლობები და კოორდინაცია, სრულდება ის ვალდებულებები, რომლებიც მზადების პროცესში მყოფი სხვადასხვა სტრატეგიითა და გეგმით არის გათვალისწინებული.

რაც შეეხება **გარემოს დაცვას**, 2018 წლის მაისში საქართველომ მიიღო მე -3 ეროვნული გარემოსდაცვითი სამოქმედო პროგრამა (2017-2021), რომელიც წარმოადგენს ქვეყნის ძირითად სტრატეგიულ დოკუმენტს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სფეროში და განსაზღვრავს სექტორის გრძელვადიან პრიორიტეტებსა და გეგმებს. საქართველო გარემოსდაცვით საკითხებთან და კლიმატთან დაკავშირებული ქმედებების მიმართებაში წინ მიდის ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საკანონმდებლო დაახლოების პროცესში. ყველაზე მოწინავე სექტორებს შორის ნარჩენების მართვის სფერო განაგრძობს საკმარისი რესურსების მიღებას მომსახურების გაფართოებისა და მოდერნიზაციისთვის, აგრეთვე ტექნიკური დახმარებისთვის მუნიციპალური გეგმების განსახორციელებლად და სტრატეგიების მოსამზადებლად მწარმოებელთა გაფართოებული ვალდებულებებისა და გადამუშავების რეგულაციების მიღებისთვის. წყალმომარაგება და ჩამდინარე წყლების დასუფთავების ინფრასტრუქტურა ნელ-ნელა გაუმჯობესდა. 2017 წლის ივნისში ახალი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიღების შემდეგ მთავრობა მისი აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით რესურსების და შესაძლებლობების გაუმჯობესების პროცესშია, მათ შორის გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ ახალი კანონის მიღების საჭიროების ჩათვლით. გარდა ამისა, საქართველომ ასევე შეიმუშავა ახალი ტყის კოდექსი, რომელიც ჯერ კიდევ მისაღებია და ახალი რეგულაცია პოლიტილენის პარკებთან დაკავშირებით.

ევროკავშირის *სამოქალაქო დაცვის* მექანიზმთან თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, 2018 წლის 13 ივლისს საქართველოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა ევროკომისიასთან (სამოქალაქო დაცვისა და ჰუმანიტარული დახმარების ოპერაციების გენერალური დირექტორატი) კატასტროფების რისკის მართვის შესახებ ადმინისტრაციულ შეთანხმებას ხელი მოაწერა. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური 2017 წლის აგვისტოში მომხდარი ტყეების ხანძრების შედეგად მიღებული გამოცდილების საფუძველზე და საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსა და სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტის შერწყმის შედეგად დაარსდა. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დამფუძნებელი კანონპროექტი ევროკავშირისა და ნატო-ს ექსპერტების მიერ იყო განხილილი და პარლამენტმა იგი 2018 წლის ივნისში მიიღო<sup>58</sup>.

## 5. მობილურობა და ადამიანებს შორის კავშირები

რაც შეეხება ბიომეტრიული პასპორტების მქონე საქართველოს მოქალაქეებისათვის *სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციას*, უვიზო მიმოსვლის უფლებისა და ვალდებულების შესახებ საინფორმაციო კამპანიები გრძელდება, განსაკუთრებით სოფლად. სავიზო ლიბერალიზაციის ნიშნულების მუდმივი განხორციელება კვლავაც რჩება საქართველოს ვალდებულებად და საქართველომ მთელი რიგი ღონისძიებები გაატარა, რათა გააგრძელოს თავშესაფრის მოთხოვნასთან დაკავშირებული უსაფუძვლო განაცხადების პრობლემის გადაწყვეტა და არალეგალური მიგრაციით ყველაზე მეტად დაზარალებულ წევრ სახელმწიფოებთან ოპერატიული თანამშრომლობის გააქტიურება. საქართველომ მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები განახორციელა თავშესაფრის მოთხოვნაზე განაცხადთა გაზრდის საკითხის მოსაგვარებლად და არალეგალური მიგრაციის თავიდან ასაცილებლად, მათ შორის 2018 წლის აპრილში შეიტანა ცვლილები სამოქალაქო აქტების შესახებ კანონში (რომელმაც გვარის შეცვლის პირობები შეზღუდა) და წინსვლა აღინიშნა 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის განახორციელების კუთხით ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებში ჩართულობასთან დაკავშირებით. საქართველოს თანამშრომლობა რეადმისიასა და დაბრუნებასთან დაკავშირებით კარგად მიმდინარეობს, რაც დაადასტურეს ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა 2018

<sup>58</sup> ახალი კანონმდებლობა ნერგავს გარკვეულ მნიშვნელოვან სიახლეებს, როგორცაა: საგანგებო სიტუაციების სახეობები შემცირდა ოთხიდან (ადამიანის მიერ გამოწვეული, ბუნებრივი, სოციალური და სამხედრო) ორამდე (ადამიანის მიერ გამოწვეული და ბუნებრივი); დაინერგა საგანგებო სიტუაციების მართვის სისტემის ორი დონე და ახალ კანონში შევიდა დებულებები მიმღები ქვეყნის მხარდაჭერასთან დაკავშირებით.

წლის ივნისში საქართველო-ევროკავშირის რეადმისიის კომიტეტის ერთობლივ სხდომაზე.

**განათლების** საკითხები. 2018 წლის 4 სექტემბერს თბილისში ევროპული სკოლა გაიხსნა<sup>59</sup>. ევროკავშირი და საქართველოს მთავრობა სკოლის მეორე ფაზაზე ერთობლივად მუშაობენ. 2017 წლის ბოლოს მთავრობამ მიიღო განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021 წლებისთვის. ინკლუზიური განათლების შესახებ სტრატეგიული დოკუმენტი და მისი სამოქმედო გეგმა 2018 წლის დასაწყისში დამტკიცდა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაიწყო პროგრამა "ისწავლე საქართველოში", რომელიც მიზნად ისახავს რომ საქართველო საერთაშორისოდ აღიარებული საგანმანათლებლო ცენტრი გახდეს. არასაკმარისად განათლებული სამუშაო ძალა საქართველოს კონკურენტუნარიანობაზე კვლავ უარყოფითად აისახება<sup>60</sup>. პროფესიული განათლებისა და გადამზადების შესახებ ახალი კანონი ახალგაზრდებისა და ზრდასრულებისთვის ცხოვრების მანძილზე სწავლის ფართო შესაძლებლობებს გახსნის. საქართველო წარმატებით წინ მიიწევს ერაზმუს+ პროგრამაში მონაწილეობის კუთხით, როგორც უმაღლესი განათლების, ასევე ახალგაზრდულ სფეროებში.

2018 წლის ივლისში **კულტურისა** და სპორტის სამინისტრო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან გაერთიანდა. კულტურის სტრატეგია 2025-ის განსახორციელებლად სამინისტრომ მოკლევადიანი სამოქმედო გეგმები შეიმუშავა. კულტურული მემკვიდრეობის სფეროში სხვადასხვა უწყებათაშორისი სამოქმედო გეგმა შეიმუშავდა. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა (GIS) საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა მართვისა და GIS პორტალისთვის შექმნა. 2018 წლის ბოლოსთვის საქართველოს მონაწილეობა "შემოქმედებითი ევროპის" პროგრამაში ცხრადან ოცდაორ წარმატებულ პროექტამდე გაიზარდა.

საქართველო განაგრძობს ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად თავისი ვალდებულებების შესრულებას და ახდენს კანონმდებლობის ჰარმონიზებას, რათა მიაღწიოს სრულ შესაბამისობას ევროკავშირის დირექტივასთან **აუდიოვიზუალური მედია სერვისების<sup>61</sup>** შესახებ. ამასთან დაკავშირებით, 2017

<sup>59</sup> ამას წინ უსწრებდა ევროპული სკოლის საზაფხულო ბანაკი, რომელიც ევროპული სკოლის მოსამზადებელ კურსებს წარმოადგენდა და 100-მდე სტუდენტს აღმოსავლეთ პარტნიორობისა და ევროკავშირის ქვეყნებიდან არაფორმალური განათლების 8 მოდულს თავაზობდა.

<sup>60</sup> მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიში 2017-2018, <http://www3.weforum.org/docs/GCR2017-2018/05FullReport/TheGlobalCompetitivenessReport2017%E2%80%932018.pdf>

<sup>61</sup> დირექტივა 2010/13/EU

წლის დეკემბერში პარლამენტმა რამდენიმე ცვლილება დაამტკიცა. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას მედიასთან დაკავშირებული ცოდნის ამაღლების, განვითარების და მონიტორინგის ფუნქცია დაეკისრა. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია ახორციელებს ევროკავშირის უახლეს დირექტივას რადიოაპარატურასთან<sup>62</sup> დაკავშირებით.

**ახალგაზრდობა** კვლავ მთავრობის პრიორიტეტად რჩება, თუმცა აუცილებელია უფრო კონკრეტული ნაბიჯები ახალგაზრდობის გასაძლიერებლად და ქვეყანაში ახალგაზრდული პოლიტიკის განსახორციელებლად. ახალგაზრდულ საქმეთა სამართლებრივი ჩარჩო კვლავ არ არის დასრულებული და ფიზიკური აღზრდის და სპორტის ახალი კანონპროექტი ჯერ კიდევ განხილვის სტადიაზეა. ზემოხსენებული სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტი იყო მასობრივი სპორტის განვითარების მხარდაჭერა და კარგი მართვა სპორტის სფეროში, რასაც შემდგომი მზაობა და მხარდაჭერა სჭირდება.

**კვლევისა და ინოვაციების** სფეროში თანამშრომლობის კუთხით 2016 წლიდან საქართველო პროგრამა „ჰორიზონტი 2020“-ის (H2020)“ ასოცირებული წევრი გახდა. ქვეყანას სარგებლობა მოუტანა პროგრამა „ჰორიზონტი 2020“-ის პოლიტიკის ხელშეწყობის ინსტრუმენტმა, რომელიც უზრუნველყოფს საქსპერტო ანალიზს სხვა ქვეყნებიდან და ორმხრივ სასწავლო განხილვებს. 2018 წლის ივნისში განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალურად გადაეცა საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი და საინოვაციო სისტემის მოდერნიზებასთან დაკავშირებული კონკრეტული რეკომენდაციების შემცველი ანგარიში. „ჰორიზონტი 2020“-ის "ევროკავშირის InnovFin დაფინანსება ინოვაციებისთვის" ინიციატივის ფარგლებში ევროპის საინვესტიციო ფონდის და საქართველოს ბანკებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებით 130 მილიონი ევროს ოდენობის თანხა სესხების სახით ხელმისაწვდომი გახდა ინოვაციური მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის და მცირე საშუალო კაპიტალის მქონე კომპანიებისთვის.

## **6. ფინანსური მხარდაჭერა**

2014 წელს ევროპის ახალი სამეზობლო ინსტრუმენტის (ENI) დანერგვის შემდეგ ევროკავშირმა 589.5 მილიონი ევრო გამოყო საქართველოს ფინანსური მხარდაჭერისთვის ორმხრივი თანამშრომლობის პროგრამების მეშვეობით. ამაში შედიოდა რეფორმების განხორციელებაში მიღწეული წარმატების შემდეგ გამოყოფილი 122 მილიონი ევრო (ევროპის ახალი სამეზობლო ინსტრუმენტის

<sup>62</sup> დირექტივა 2014/53/EU

კომპლექსური პროგრამა, რომელიც ცნობილია პროგრამის „მეტი მეტისთვის“ ("More for more") სახელით). ცალკეული ქვეყნებისთვის დახმარების გაწევის ახალი ჩარჩო-პროგრამა (Single Support Framework) 2017-2020 წლებისათვის, ასოცირების შესახებ შეთანხმების და საქართველოს მთავრობის პრიორიტეტების შესაბამისად, ყურადღებას ამახვილებს ოთხ ძირითად სფეროზე. ეს სფეროებია: 1) ეკონომიკური განვითარება და ბაზრის შესაძლებლობები, 2) ინსტიტუტების გაძლიერება და კარგი მმართველობა, 3) ტრანსპორტი, ენერჯეტიკა, გარემოს დაცვა და კლიმატის ცვლილება, 4) მობილურობა და ადამიანებს შორის კავშირები.

2017 წლის საქართველოსთვის ორმხრივი შეთანხმების ფარგლებში პროგრამებისთვის გამოყოფილი თანხა (115 მილიონი ევრო, მათ შორის 21.5 მილიონი კომპლექსური პროგრამიდან) მიმართულია ძირითად სტრუქტურულ და ინსტიტუციურ რეფორმებზე - ადამიანური კაპიტალისა და უნარ-ჩვევების განვითარების, ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის, ფინანსური ინფრასტრუქტურის მოდერნიზებისა და ბიზნეს დახვეწის გაღრმავების ჩათვლით. მათი განხორციელება 2019 წლის დასაწყისში დაიწყო 2018 წლის 21 ნოემბერს ბრიუსელში ევროკომისიისა და საქართველოს მთავრობის წევრებს შორის მაღალი დონის შეხვედრაზე დაფინანსების შესახებ ხელშეკრულებების ხელმოწერის შემდეგ.

2018 წლის დეკემბერში დასრულდა 2018 წლის საქართველოსთვის ორმხრივი შეთანხმების ფარგლებში პროგრამებისთვის თანხის გამოყოფის პროცესი (134 მილიონი ევრო, მათ შორის დამატებითი 40 მილიონი ევრო კომპლექსური პროგრამიდან). იგი ხელს შეუწყობს ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელებას, მათ შორის საქართველოს მონაწილეობის გაზრდას ერაზმუს+ პროგრამაში, ისევე როგორც ქმედებებს სტრატეგიული კომუნიკაციის მიმართებაში. საჯარო ფინანსების მართვის პროგრამა გააძლიერებს ეკონომიკურ მმართველობას და დემოკრატიულ ანგარიშვალდებულებას საქართველოში, მაშინ როდესაც უსაფრთხოების, ანგარიშვალდებულების და დანაშაულთან ბრძოლის ერთიანი პროგრამა კარგ მმართველობას, კანონის უზენაესობასა და საქართველოს მოქალაქეების უსაფრთხოებას ხელს შეუწყობს.

საქართველოსთვის გამიზნული მიმდინარე პროგრამები ხელს უწყობს ეკონომიკურ განვითარებას, მართლმსაჯულების და საჯარო ადმინისტრირების რეფორმას, პროფესიულ განათლებას, გადამზადებას და მოთხოვნების შესაბამისი უნარების შექმნას, სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებაში პოლიტიკის რეფორმას, რეგიონალურ განვითარებას და ტრანსპორტის, ენერჯეტიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარებას. ევროკავშირის მხარდაჭერა ასევე მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რათა პოლიტიკა და კანონმდებლობა ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოიყვანოს და განავითაროს იმ



შერჩეული ინსტიტუტების შესაძლებლობები, რომელიც ასოციაციის შესახებ და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებების განხორციელებაში საკვანძო როლს ასრულებს.

გარდა ამისა, საქართველოზე ვრცელდება რეგიონული პროგრამებიც, რომელთა მიზანია მცირე და საშუალო ზომის საწარმოების, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, გარემოს დაცვის, ფინანსების მისაწვდომობის, ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემოს გაფართოებისა და განვითარების, კულტურისა და ახალგაზრდობის ხელშეწყობა (EU4Business, EU4Energy, EU4Environment, EU4ClimateChange and EU4Youth და სხვა ინიციატივები). საქართველოში "ევროკავშირი ბიზნესისთვის" (EU4business) ინიციატივის საერთო თანხა 882 მილიონი ევროს ოდენობის სესხებისა და 69 მილიონ ევროს ოდენობის გრანტებს შეადგენს, რაც მოიცავს რამდენიმე საქართველოზე მიმართულ და რეგიონულ პროექტს, რომელიც დახმარებას უწევს ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას, ბიზნესის ხელშეწყობის ორგანიზებას, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების განვითარებას, ფინანსების მისაწვდომობას და კვალიფიკაციის ამაღლებას. საქართველო ასევე აქტიურად მონაწილეობს ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტის სასაზღვრო თანამშრომლობის შავი ზღვის პროგრამაში.

2017 წლის იანვრიდან 2018 წლის ოქტომბრის ჩათვლით საქართველოში საჯარო სამსახურების დამშობილების (Twinning) თერთმეტი პროექტი განხორციელდა, რომელიც მოიცავდა ეკონომიკურ განვითარებას და ვაჭრობას, ტყეებს, გარემოს დაცვას, კომუნიკაციებს, საჯარო სამსახურს და მართლმსაჯულებას. პროგრამა TAIEX-მა (ევროკავშირის ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტი) ხელი შეუწყო საქართველოში ზოგადად რეფორმების პროცესს საჯარო მმართველობის რეფორმის, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებების განხორციელების, კანონის უზენაესობის, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის, ჯანდაცვისა და კავშირების სფეროებში.

ევროკავშირი ასევე სამეზობლო საინვესტიციო პლატფორმის ფარგლებში განაგრძობს საქართველოში რამდენიმე ინიციატივის დაფინანსებას, რომელიც სხვადასხვა ეკონომიკურ და სოციალურ სექტორებს ისევე როგორც ძირითად ინფრასტრუქტურებს მოიცავს. ამ თვალსაზრისით, შერეული ოპერაციები ხელს შეუწყობს ენერგოეფექტურობას საჯარო შენობებში და ასევე მყარი ნარჩენების, აჭარის რეგიონში წყალმომარაგების და ადგილობრივი ვალუტის დაკრედიტების საკითხებზე მიმართულ პროექტებს. მოსალოდნელია, რომ ევროკავშირის საგარეო საინვესტიციო გეგმა მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ქვეყანაში დასაქმებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობაში.

საქართველო ასევე სარგებლობს ევროკავშირის მაკრო-ფინანსური დახმარებით. ხორციელდება 2018 წლის აპრილში დამტკიცებული ბოლოდროინდელი მაკრო-

ფინანსური დახმარება. პირველი ტრანშის - 20 მილიონ ევროს (15 მილიონი ევრო სესხების და 5 მილიონი ევრო გრანტების სახით) თანხების გადმორიცხვა 2018 წლის ბოლოს განხორციელდა და მეორე ტრანშის 2019 წლისთვის იგეგმება. ამ თანხების გადმორიცხვა დამოკიდებულია პოლიტიკური წინაპირობის შესრულებაზე, რომელიც მოითხოვს საქართველოსგან გააგრძელოს ეფექტიანი დემოკრატიული მექანიზმების, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების უზრუნველყოფის დაცვა, შეინარჩუნოს კარგი დოსიე მიმდინარე საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამის განხორციელებაში (2017 წლის აპრილში შეთანხმებული 285 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის გაფართოებული დაფინანსების მექანიზმის სამწლიანი პროგრამა) და შეასრულოს ურთიერთგაგების მემორანდუმში გათვალისწინებული კონკრეტული პოლიტიკის პირობები. პოლიტიკის პირობები, რომლებიც ხელს შეუწყობს ეროვნული რეფორმის დღის წესრიგისა და ევროკავშირთან ასოცირების პროცესს, შემდეგ ოთხ სფეროს მოიცავს: (1) საჯარო ფინანსების მართვა, (2) ფინანსური სექტორი, (3) სოციალური და შრომის ბაზრის პოლიტიკა და (4) ბიზნეს გარემო.

საქართველოს ხელისუფლებამ და თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპის სამსახურმა გააძლიერეს თანამშრომლობა თაღლითობის - რომელიც უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ევროკავშირის ფინანსურ ინტერესებზე - წინააღმდეგ ბრძოლაში.

## **7. დასკვნითი შენიშვნები და სამომავლო პერსპექტივა**

საქართველო განაგრძობს წინსვლას ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულებასა და ევროკავშირის სტანდარტებთან და მოთხოვნებთან ქვეყნის კანონმდებლობის და ინსტიტუციონალური სტრუქტურების დაახლოების პროცესის გაგრძელებაში.

მიმდინარეობს დემოკრატიისა და მმართველობის ხარისხის კონსოლიდაციის წინსვლა, მათ შორის საკონსტიტუციო რეფორმის პროცესის ფარგლებში. მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ გააგრძელოს ღია დიალოგი ყველა მოქმედ პოლიტიკურ სუბიექტთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან დემოკრატიული ინსტიტუტების გასაძლიერებლად, პლურალისტური დემოკრატიის კონსოლიდაციის მიზნით, რეფორმების განსავითარებლად და ახლადმიღებული კანონმდებლობის სრული და მდგრადი განხორციელების უზრუნველსაყოფად. საჭიროა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) სადამკვირვებლო მისიის მიერ გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორება.

გარკვეული წინსვლა განხორციელდა მართლმსაჯულების სექტორის რეფორმირებაში, მაგრამ მნიშვნელოვანი გამოწვევები კვლავაც რჩება მიღწეული წინსვლის განმტკიცებასა და კანონის უზენაესობის დაცვასთან დაკავშირებით. მართლმსაჯულების რეფორმები უნდა გაგრძელდეს და განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს მოსამართლეთა დანიშვნის პროცესში გამჭვირვალებასა და ანგარიშვალდებულებაზე. ეროვნულ კანონმდებლობაში პოზიტიური ცვლილებები თანხვედრაში უნდა იყოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და ანტიდისკრიმინაციული ქმედებების ეფექტიან განხორციელებასთან, ასევე ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლასა და პრევენციასთან დაკავშირებულ დამატებით ძალისხმევასთან.

საქართველო ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ შეთანხმების განხორციელების საშუალებით მიღებული ეკონომიკური ინტეგრაციის შედეგებს მოიმკის, რამაც საქართველოს ევროკავშირთან ვაჭრობა გააფართოვა. მიუხედავად ამისა, საჭიროა შემდგომი ძალისხმევა ექსპორტის სტიმულირებასა და ევროკავშირსა და საქართველოს შორის სავაჭრო ბალანსის გასაუმჯობესებლად. საქართველოში საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული შემდგომი სტრუქტურული რეფორმები სრულად უნდა შესრულდეს.

ევროკავშირი და საქართველო განაგრძობენ ურთიერთობების გაღრმავებას და საქართველოს, როგორც რეგიონში ევროკავშირის მნიშვნელოვანი პარტნიორის პოზიციის განმტკიცებას. ისინი ორმხრივი ურთიერთობების გაფართოებაზე შეთანხმდნენ, რაც მოიცავს საერთო ინტერესის შემდგომ საკითხებს, მათ შორის უსაფრთხოების სფეროში. 2018 წლის 21 ნოემბრის ევროკომისიის და საქართველოს მთავრობის წევრებს შორის მაღალი დონის შეხვედრის შეთანხმებული შედეგების განხორციელება ურთიერთობებს შემდგომ მეგზურობას გაუწევს. შეხვედრის დროს შეთანხმებული იყო რიგი ღონისძიებებისა განსაკუთრებით ეკონომიკის, კავშირებისა და ვაჭრობის, განათლების, კვლევისა და კულტურის, იუსტიციისა და შიდა უსაფრთხოების, მათ შორის სამოქალაქო დაცვის სფეროებში.

ევროკავშირი განაგრძობს 2017-2020 წლებისთვის დაგეგმილ რეფორმებთან დაკავშირებული პრიორიტეტული საქმიანობის მხარდაჭერას, რომელიც მიზნად ისახავს ხილული და ხელშესახები სარგებლის მოტანას საქართველოს მოქალაქეებისთვის, ბიზნესისა და მომხმარებლებისთვის.